პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ოთხშაბათი, 26 თებერვალი 1936 წ. № 47 (4506)

არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით, ხალისით, სიხარულითა და გულმხურვალებით იზეიმა ორდენოსანი საქართველოს ხალხმა კაპიტალისტებისა, მემამულეებისა და ქართველი ხალხის გათახსირებული მოღალატე მენშევიკების აღვირახსნილი ტირანიისაგან განთავისუფლების ისტორიული დღე—საქართველოს ოქტომბრის XV. წლისთავი.

საბჭოთა საქართველოს ხუთმეტი წელი

„პრავდის“ მოწინავე 25/II

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თავის მეთხუთმეტე გაზაფხულს ეგებება. ქვეყანა და ხალხი, რომელსაც ათასწლიანზე მეტის ისტორია აქვთ, მხოლოდ ამჟამად განიცდის თავის ნამდვილ სიჭაბუკეს. საბჭოებამდელ საუკუნეებს საქართველოს ხალხი იგონებს როგორც ტანჯვა-წამებისა და ჩაგვრის ძნელ გზას.

ჩაგვრის საუკუნეებში გამოატარა ქართველმა ხალხმა თავისი კულტურა, სიცოცხლის ხალისი და თავისუფლებისადმი მთის არწივთა ტრფიალება. მის რიგებში აღიზარდნენ უდიდესი პოეტები, რომელთა ლექსმაც ჩვენამდე მოაღწია. საქართველოს მუშათა კლასისა და მშრომელების წრიდან გამოვიდნენ ათასობით მებრძოლნი ცარიზმის წინააღმდეგ, მემამულეთა და კაპიტალისტების ხელისუფლების წინააღმდეგ.

მე-19 საუკუნე დაიწყო რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ საქართველოს დაპყრობით, მთელმა მე-19 საუკუნემ საქართველოში გლეხთა აჯანყებებში განვლო. საუკუნე თავდებოდა, როდესაც ლენინის დიადმა იდეებმა მოიცვეს რუსეთის პროლეტარიატი და რუსეთში ბოლშევიზმის ჩასახვის პირველი დღეებიდანვე საქართველოს მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები დადგნენ ლენინის დროშის ქვეშ. რევოლუციური ხელმძღვანელობის ძაფები გაება მუშათა პეტერბურგსა, ლენინსა და საქართველოს ახალგაზრდა პროლეტარიატს შუა, ამიერ-კავკასიის პირველ ბოლშევიკ ორგანიზატორებს შუა, რომელთა სათავეშიც იყო სტალინი, რომელსაც ისტორიამ არგუნა ლენინის მემკვიდრედ ყოფნა, საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადად, ახალი კაცობრიობის ბელადად ყოფნა. სტალინისა და მისი თანამებრძოლების მიერ დათესილი ლენინიზმის თესლი მშვენიერ ჯეჯილად ამოვიდა. მეოცე საუკუნის რევოლუციურ ქარიშხალში საქართველოს მასები შევიდნენ ისე, რომ ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი რუსეთის პროლეტარიატთან და მის მოწინავე რაზმთან—პეტერბურგის მუშებთან.

ეს კავშირი განუყრელი გახდა. ეგი სამუდამოდ არის განმტკიცებული სისხლით, რომელიც დაღვარა როგორც რუსეთის პროლეტარიატმა და გლეხობამ, ისე საქართველოს მშრომელმა მასებმა ცარიზმთან ბრძოლის ათეული წლების განმავლობაში, სამოქალაქო ომის დროს, ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლებში, შავი ყვავ-ყორნების წინააღმდეგ ბრძოლებში, რომელნიც თავს დაესხნენ საქართველოს 1918-1920 წლებში. ამიტომ გასაგებია ის გულთბილობა და სიყვარული, რომლითაც დღეს ლაპარაკობს რუსეთის პროლეტარიატის შესახებ მთელი ქართველი ხალხი ამხანაგი სტალინისთვის გამოგზავნილ წერილში, გასაგებია ის მხურვალე მძულვარება და ზიზღი, რომლითაც დღეს ქართველი ხალხი იგონებს მენშევიკებს, რომელნიც აღვივებდნენ ეროვნებათა შორის შუღლს და მხეცურ შოვინიზმს უგებდნენ უცხოეთის იმპერიალისტების წინაშე ლაქიურად ფეხქვეშ გაგებას.

ძველისძველი გადმოცემის თანახმად პირველი მეზღვაურები (არგონავტები) გაემგზავრნენ წყლით კოლხიდაში, ახლანდელი საქართველოს ნაწილში, ოქროს ვერძის მოსატაცებლად.

ამ საუკუნის 18-19-20 წლებში კი უკვე არა პრიმიტიულ ნავ „არგოთი“, არამედ მძლავრი ჯავშნიანი გემებითა და კრეისერებით ჩავიდნენ კოლხიდაში საერთაშორისო იმპერიალიზმის პირატები, რათა ხელთ ეგდოთ ეს ოქროს ვერძი, რათა გაეძარცვათ საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის კოლოსალური ბუნებრივი სიმდიდრეები, რათა სისხლითა და მახვილით დაემორჩილებინათ ქართველი ხალხი. ქართველი მენშევიკები, რომელთაც ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, შევიდნენ იმპერიალისტების სამსახურში, გაუღეს მათ საქართველოს კარი, ჰყიდდნენ ქვეყანას და ხალხის სისხლს ბითუმად და ცალობით, ცდილობდნენ რუსის თეთრგვარდიელებთან შეკავშირებით ჩაეხრჩოთ დიდი პროლეტარული რევოლუცია.

მაგრამ პროლეტარულმა რევოლუციამ გაიმარჯვა და დღეს დიდი დღეს. ზეიმის დღეს ქართველი ხალხი ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში იგონებს იმ მშვენიერ დღეებს, როდესაც საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ყურად იღეს რა ლენინისა და სტალინის მითითებანი, სტალინის თანამებრძოლთა სერგო ორჯონიკიძისა და კიროვის უშუალო ხელმძღვანელობით, მოახდინეს შეიარაღებული აჯანყება გაშიშვლებული მენშევიკური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის პროლეტარიატისა და მისი წითელი არმიის დახმარებით საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. ამ დღეს დაიწყო ახალი ერა ქართველი ხალხის ისტორიისა.

იმის შესახებ, რომ საქართველო სასწაულებრივად გადაიქცა რუსეთის ჩამორჩენილი კოლონიიდან სანიმუშო საბჭოთა რესპუბლიკად, სოციალიზმის სამსახურად დაყენებულ მთის მდინარეთა შესახებ, ასეული მილიონობით მანეთის პროდუქციის შესახებ, რომელსაც იძლევიან ახალი, საბჭოთა საქართველოს მიერ აშენებული ქარხნები, ფაბრიკები, მაღაროები, აყვავებული ქალაქებისა და სოფლების შესახებ; კოლმეურნეობების შესახებ, სადაც გლეხობა ჰქმნის შეძლებულსა და კულტურულ ცხოვრებას; უძვირფასესი სასოფლო-სამეურნეო გრანდიოზულად მზარდი კულტურების—ციტრუსთა, ჩაის, თამბაქოს, ეთეროვანთა, ყურძნის და ბოლოს ყველაზე ძვირფასი კაპიტალის, ახალი, სოციალიზმის მიერ აღზრდილი ადამიანების შესახებ, ყოველივე ამის შესახებ დღეს ქართველი ხალხი სიხარულით უპატაკებს სტალინს, საბჭოთა კავშირს და მთელ მშრომელ კაცობრიობას. ეს წერილი არის სიხარულის სიმღერა ხალხისა თავისი პირველი ჭეშმარიტად თავისუფალი თხუთმეტი წლისთავის შესახებ, სიმღერა საბჭოთა საქართველოსი, რომელიც დიდმა პროლეტარულმა რევოლუციამ დაბადა.

საარაკოდ დიდი სიმდიდრე მოეპოვებათ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს, რომელთა ხალხებიც წინანდელი მტრობის ნაცვლად ამჟამად მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი და შეადგენენ სტალინის გენიით შექმნილს ამიერ-კავკასიის ძლიერ ფედერაციას—საბჭოთა კავშირის მარგალიტს.

საბჭოთა მიწას ველარ გასთელავს იმპერიალისტების ჩექმა! ველარასოდეს შემოსდგამს ამ მიწაზე მტერი ფეხს. საბჭოთა კავშირის მთელი მშობლიური მიწისთვის თავგამოდებით იბრძოლებენ საბჭოთა ხალხების შვილები—ვაჟნი და ქალნი. მომავალი შეტაკებების დროს, თუ ამას თავს მოგვახვევენ იმპერიალისტები, საქართველოს ხალხი და წითელი არმიის ქართული სანიმუშო ნაწილები ღირსეულად შეასრულებენ თავის მოვალეობას.

საქართველოს აყვავება ერთერთი მშვენიერი ნაყოფია ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკისა. ქართველი ხალხი აღიარებს, რომ მან მიაღწია გამარჯვებასა და აყვავებას იმით, რომ აღფრთოვანებული იყო რუსეთის ძლიერი ხალხის გმირული მაგალითით, მიაღწია მისივე შემწეობით და ძმური დახმარებით. საქართველოს ხალხი ხმამაღლა იძახის: გაუმარჯოს რუსეთის გმირ პროლეტარიატს! გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას! გაუმარჯოს იმას, ვინც შეგვიყვანა ჩვენ სსრკ-ს ხალხთა დიად ოჯახში, ჩვენს ძვირფასს, ჩვენს საყვარელ სტალინს.

და მთელ საბჭოთა მიწაზე გაისმის ამის პასუხად გამოძახილი:

დაე აყვავდეს და გამდიდრდეს სსრკ მარგალიტი — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა!

ბოლშევიკური სალამი ქართველ ხალხს და მის სახელოვან ხელმძღვანელებს!

ორდენოსანი საქართველოს მშრომელთა ზეიმი

ერთად მოუყრია თავი მშრომელთა მილიონების უსაზღვრო სიხარულს!

აქ, ტფილისში, მრავალსახოვან ჰაღარა დედაქალაქში გადმოიღვარა დღეს ეს სიხარული. თხუთმეტ საუკუნეში არ გაკეთებულა იმდენი საქმე, რამდენიც სტალინური აყვავებული ხანის თხუთმეტ წელიწადში გაკეთდა. საყოველთაო, ბედნიერ და შეძლებულ ცხოვრებას აზიარა ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ მრავალ უბედურებას განვლილი ჩვენი მშრომელი ხალხი. და დღეს ზეიმია ამ ხალხის, უნახავი, გაუგონარი სიძლიერის სახალხო სიხარულის დღეა.

მოკრიალებული ცა რიერაჟიდანვე იმის მაუწყებელი იყო, რომ საქართველოს მშრომელთა სიხარულს დღეს დიდი საბჭოეთის მშრომელებთან ერთად თითქოს იზიარებს ბუნებაც.

ქალაქის ყოველ კუთხიდან დილიდანვე დაიძრნენ დემონსტრანტთა ცარიზმელი კოლონები ქალაქის გულის—ფედერაციის მოედნისაკენ სიმღერებით, ცეკვა-თამაშით, გაბრწყინებული სახეებით. გამარჯვებული ხალხის სიხარულის დასატევად გადაშლილა თითქოს ეს მოედანი! მოედანი თეთრი ხაზებით გადაუსერავთ. ეს იმიტომ რომ, დემონსტრანტებმა სვლის დროს წესრიგი დაიცვან.

სიხარული უსაზღვროა, აღტაცება საყოველთაოა. და ეს სიხარული, ეს აღფრთოვანება დღეს უფრო გაძლიერებულია სასიამოვნო ამბავით: ორდენოსანმა საქართველომ წუხელის ჩაიბარა ლენინის ორდენი, უძლეველი პროლეტარული არმიის სარდალმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა, დიდი სტალინის [illegible] თანამებრძოლმა — **კლიმ ვოროშილოვმა** საქართველოს მშრომელთ ჩამოუტანა ეს ჯილდო და — ბელადის სალამი!

მოედნის შუაზე ახალი ტრიბუნაა აღმართული. ამ ტრიბუნაზე ადგილებს იკავებენ საკავშირო ცაკის თავმჯდომარე ამხ. **გ. პეტროვსკი**, საქართველოს და ამიერ-კავკასიის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები — **ამხ. მუსაბეკოვი, მახარაძე, კუდრიავცევი, ბაგიროვი, მგალობლიშვილი, ბაქრაძე, მარტიკიანი, ხანჯიანი და სხვები.**

იშვიათი მხატვრული გემოვნებით მორთულ მოედანზე სიჩუმეს დაუსადგურებია. მოედნის ირგვლივ კი „სტარტის“ ტორმოზებს და ავტოებს ჯებირების გადმოლახვას, რათა უსაზღვრო სიხარულის კოლონად დაიძრან სახალხო ზეიმის მოედანზე.

იშვიათად მდიდრული, მრავალფეროვანი და გრანდიოზულია დღეს ფედერაციის მოედნის მორთულობა.

„გარნიზონის ნაწილები მზად არიან პარადისათვის“

მზემ გაათბო რიალა მოედანი. აღმასკომის საათმა ათჯერ დაჰკრა და ყველას აუწყა პარადის დაწყების მომენტი. დღეს პარადს მიიღებს საქართველოს მშრომელთა ძვირფასი სტუმარი, უძლეველი წითელი არმიის ბელადი, საბჭოთა კავშირის პირველი მარშალი ამხანაგი **ვოროშილოვი**. ტფილისის პროლეტარები ანთებული არიან სურვილით—ნახონ იგი.

კომინტერნის ქუჩას რომ გაჰხედავ, თვალწინ გადაგეშლება დიდი შოთას პროსპექტის სილამაზე. აქ ფოლადის რიგებად ჩამწკრივებულან წითელი არმიის ნაწილები და ელიან პარადის დაწყებას.

მოედანზე აღმოსავლეთის მხრიდან შემოიჭრა ლაპლაპა ავტო. ავტომ მოუკლო სისწრაფეს. შტაბის შენობის წინ თავმოყრილი მეთაურთაგან დაწინაურდა კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი, მეორე რანგის უფროსი **ამხ. ლევანდოვსკი** და გაეშურა მომავალ ავტოსაკენ. ავტომ მოედანზე შემოიყვანა ამხანაგი **ვოროშილოვი და ლავრენტი ბერია.**

— ამხანაგო საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარო, მარშალო საბჭოთა კავშირისა, მოგახსენებ, რომ ტფილისის გარნიზონის ნაწილები მზად არიან პარადისათვის!

ამხ. ლევანდოვსკიმ მისცა პატაკი თავდაცვის კომისარს, საბჭოთა კავშირის პირველ მარშალს. მარშალმა ხელი ჩამოართვა სარდალს და მისივე ავტო მოსრიალდა კომინტერნის ქუჩისაკენ. თავდაცვის სახალხო კომისარი, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელ, ყველასათვის საყვარელ **ლავრენტისთან** და არმიის სარდალ **ლევანდოვსკისთან** ერთად, გაემგზავრა პარადის მისაღებად.

ჰექა-ქუხილივით გაისმის „ურასა“ და „ვაშას“ ძახილი: პროლეტარული ქვეყნის პირველი მარშალი ღებულობს პარადს. ჩვენი მებრძოლები განიცდიან უბედნიერეს წუთებს. ნახევარ საათსაც არ გაევლო, რომ ავტომ ისევ შემოასრიალა მოედანზე ამხ. **ვოროშილოვი, ბერია და ლევანდოვსკი.** მათ გასწიეს მოედნის შუაზე აღმართულ ტრიბუნისაკენ.

ამხ. ლევანდოვსკის მიჰგვარეს ოქროსფერი ტაიჭი. ჩქარა ტაიჭმა მოხდენილი ნაბიჯით წაიყვანა სარდალი ცერემონიული მარშით დაძრული არმიის წინ.

მოდიან მსროლელი ნაწილები, მილიციის შეერთებული რაზმი, არტილერია, და სხვა. მოდიან მფრინავები, პარაშუტისტები, პლანერისტები. მოედანზე გამეფდა მოტორების გუგუნი. ცის ტატნობი დაჩრდილეს ჩვენი სიამაყის—ავიაციის [illegible]. ვინ დასთვლის რამდენი თვითმფრინავია? გადაიგუგუნეს მათ დიდ ქალაქის თავზე საქართველოს მშრომელთა გასახარებლად.

ტრიბუნის წინ დაიწყეს გავლა ფიზკულტურელებმა. ლამაზნი და ჯანსაღნი მიაბიჯებენ მწყობრად, მოხდენილად. იქ, ავტოზე ლერძი მოუწყიათ და ზედ მოხდენილი ტანადი გოგო-ბიჭები, ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდები მკლავის სიმაგრეს უჩვენებენ ყველას. აქეთ, ორძელი მიაქვთ და ზედ ვარჯიშობენ. გამოჩნდა ველოსიპედისტების ქარავანი. მათ წინ მიუძღვით ხის ველოსიპედზე მჯდომი ფიზკულტურელი. ველოსიპედისტებს მიჰყვებიან მოტოციკლისტები, ბოლოს — ავტომობილისტები. ყველას თან მიაქვს სხვადასხვა ემბლემები, მაკეტები, ბელადთა სურათები, დროშები, მიღწევათა მაჩვენებლები...

გამარჯვებულნი მოედანზე

ხალხის სიხარული განუზომელია. ყველამ იცის, რომ ფედერაციის მოედანი, დღეს უჩვეულო სანახაობათა ასპარეზი იქნება. დღევანდელი დღე ხომ საქართველოს თხუთმეტი წლისთავია. ყველას უნდა უშუალო მონაწილე იყოს ამ ისტორიული ზეიმისა.

ფედერაციის მოედანი. ტრიბუნაზე: თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. **კ. ვოროშილოვი** საქ. კ.პ.(ბ) ა. კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. **ლ. ბერია**, საქ. ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **გორშენინი** და სხვები. ფოტო—რ. აკოფოვისა

◇ ◇ ◇

აღმასკომის ჭერიდან ხალხის ტალღამ გაარღვია ჯებირად აღმართულ მილიციელთა კორდონი. ეს განუზომელი ტალღა მოიწევს მოედნისაკენ და ჩქარა 65.000 კაცის ტევადიანი მოედანი გაიჭედა ხალხით, რამდენიმე წუთის შემდეგ მოედანზე დემონსტრანტთა კოლონების წესრიგიანი გავლა მოგვარდა.

გამოჩნდა ლენინის რაიონის მშრომელთა მოწინავე რაზმი—ამხ. სტალინისა და ბერიას სახელობის სარემონტო ქარხნების მუშათა კოლონები. სამი გამოჩენილი სტახანოველის — ამხ. გეწაძის, დ. ჭიჭინაძის და რუხაძის პორტრეტები მიჰქონდათ ლენრაიონის პროლეტართა მეღროშეებს. შემდეგ გამოჩნდნენ ტფილისის და მთელი საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სიამაყის — მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშები, — მაკეტებით და საკუთარი პროდუქციის ნიმუშებით.

— **გაუმარჯოს დიდ სტალინს**, ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შემქმნელს!

— **გაუმარჯოს ვოროშილოვს, ჩვენი თავდაცვის საყვარელ სახალხო კომისარს, საბჭოთა კავშირის მარშალს.**

— **გაუმარჯოს დიადი საბჭოთა კავშირის ერთა ძმობას!**

— **გაუმარჯოს საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელს — ამხ. ლავრენტი ბერიას.**

ლენინის რაიონის შემდეგ მიდიან სტალინის, 26 კომუნარის, ორჯონიკიძის და კიროვის რაიონის მშრომელები. ზღაპრულ და ფერიულ სანახაობას წარმოადგენდა მათი გავლისას მოედანი. ყოველი წარმოება, ყოველი დაწესებულება და ორგანიზაცია ზეიმზე განსაკუთრებული ორიგინალური მორთულობით გამოსულიყო. საჭინმრეწვს გამოეყვანა „ქართლის ციხის“ გმირითა ლაშქარი — ფარებით, დაშნებით და ჩაჩქანებით. ოპერის თეატრის მსახიობები ცხენებით გამოსულიყვნენ საოპერო კოსტუმებსა და გრიმებში.

ადამიანის მეხსიერება ვერ დაიტევს დემონსტრაციების დროს მოედანზე გატარებულ მიღწევათა მაჩვენებლების მარტო სახელწოდებებსაც კი. შადრევანები ავტომობილებზე; „აეროსტატების“ აფრენები ჰაერში; ალპინიზმის მიღწევები და აღებულ მწვერვალთა მაკეტები; „ძველი ტფილისი“ ტრადიციული კინტოებით და დოლ-ზურნებით; მომღერალთა გუნდები; პიონერები და მათი საჩუქრები ამხ. **ვოროშილოვსა** და ამხ. **ბერიას;** კაფე-რესტორანი ავტოზე; მოძრავი და ვირტუოზულად გაშენებული ნაძვის ხეების ტყე; ტიტანური ტილაფონი; მარჯანიშვილის, გრიბოედოვის, რუსთაველის და სხვა თეატრების გამოსვლები... კალამიც ვერ ასწერს, ყველაფერს.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, სხვათა შორის, მონადირეთა გამოსვლამ და ცირკის არტისტას დუროვის ცხოველების გამოყვანამ. დიდჯად მიაბიჯებს აღუშფოთებელი სპილო. მაგიდას შემოსხდომიან ძაღლები და ჰყეფენ, ხან მიწყნარდებიან. მაგიდაზე პლაკატია — „საზღვაო განიარაღების კონფერენცია გვაქვს“.

გაიარეს საქართველოს მთავრობის მიერ ავტომობილებით დაჯილდოვებულმა სტახანოველებმა. ზღვა ხალხის აღტაცებას საზღვარი არა აქვს.

ნაშუადღევის ხუთი საათი სრულდებოდა, როცა დემონსტრაცია დამთავრდა.

დიახ, ეს იყო ზეიმი გრანდიოზული და დაუვიწყარი, ტფილისის მშრომელთა ნამდვილად სახალხო ზეიმი, დღემდე უნახავი თავისი მასშტაბით, სიღრმით, განსაკუთრებული ენტუზიაზმით.

ფოტო რ. აკოპოვისა.

თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. კ. ვოროშილოვი ფედერაციის მოედანზე. მიდის ტრიბუნისაკენ

◇ ◇ ◇

სიხარული და ბედნიერება

მხოლოდ 15 წელი...

რა მცირე დროა და ამავე დროს რა დიდი მანძილი! თხუთმეტი წლის წინათ თებერვლის სუსხიან დღეს აღიგავა პირისაგან მიწისა „დემოკრატიული სამოთხე“, სადაც ყველა მეგრინდარს ჰქონდა გასავალი, გარდა მუშისა და გლეხისა, პატიოსანი მშრომელისა.

სუსხიანი ზამთარი იყო საქართველოში 1921 წელს. თოვდა და ჰყინავდა. მაგრამ რა დიდებულად წინ აჯანყებული ხალხის ნებისყოფას! სიცივესა და სიბნელეში, სილატაკესა და გაჭირვებაში ყოველთვის ღვივოდა იმედის ნაპერწკალი და აკი ცეცხლად იქცა იგი!

ზამთარს გაზაფხული მოჰყვა. საქართველოს ისტორიის ყველაზე სამარცხვინო ფურცელი, მენშევიკების ბატონობით რომ დაიწერა, დაიხურა და საქართველოს ცაზე სოციალიზმის ვარსკვლავი აკიაფდა, სიმბოლო ქვეყნის აყვავებისა და დოვლათით ავსებისა.

საქართველოს არასოდეს არ ჰქონია ასეთი გაზაფხული. 15 წელი ხუთმეტ გრძელ საუკუნეს უდრის. ქართველმა მშრომელმა ხალხმა მოიშორა ჩაგვრისა და ყულფის საუკუნოებრივი უღელი, დაიხსნა მუდმივი ომისა და სისხლისღვრისაგან, შემოქმედებითი შრომაში გადაეშვა მთელი არსებით.

სიხარული და ბედნიერება დაედგა თავს საქართველოს. და განა შეიძლება დღეს ქუჩაში არ გამოხვიდე და მთელი შენი ხმის სიძლიერით არ შესძახო „ვაშა“ იმას, ვინც ეს ბედნიერი ცხოვრება მოგვიტანა?!

როგორ არ ჰგავს დღევანდელი დღე 1921 წლის 25 თებერვალს! მაშინ სუსხიოდა, გათოშილი იყო ცხოვრება, ძარღვებში სისხლი იყინებოდა.

დღეს გაზაფხულის მზე კიაფობს ცის ლაჟვარდში, ქვეყანას შრომის ოხშივარი ასდის, სისხლი დუღს და გული ძალუმად სცემს, ველარ იტევს ნეტარების წუთებს.

რა კარგია სიცოცხლე, რა საამური გახდა ცხოვრება!

○

ასეთი დემონსტრაცია ტფილისს ჯერ არ უნახავს. ენტუზიაზმი, უსაზღვრო ენტუზიაზმი და სიხარული მოეფინა ქუჩებს. ჯარების აღლუმს, ფიზკულტურელთა პარადს, დემონსტრანტების მსვლელობას მთელი დღე დასჭირდა. დილის რვა საათზე დაწყებული დემონსტრაცია მხოლოდ საღამოს ხუთ საათზე დამთავრდა.

დამთავრდა და კვლავ დაიწყო, რადგან არ შეიძლება დღეს შინ ჯდომა, გული არ მოგვითმენს: ტფილისი ასეთი ლამაზია, ასე ზღაპრულად გამოიყურება იგი, ელექტრონის გვირგვინდადგმული.

„ცხოვრება გაუმჯობესდა, ამხანაგებო, ცხოვრება საამური გახდა“.

გადახედეთ ამ სახეებს, ღიმილიან თვალებს და მზიურ სახეებს, განა ამაზე არ მეტყველებენ ისინი! დიახ, ცხოვრება გაუმჯობესდა, ცხოვრება მომხიბვლელი გახდა.

საბჭოთა ხელისუფლებამდე ლიტერატურა და ხელოვნება მიუწვდომელი იყო. დღეს მას მასები დაეპატრონნენ. ლიტერატურულ ნაწარმოებებს ასეთი მასობრივი ტირაჟი არ მოსწრებია საქართველოში. შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, გურამიშვილი, ბარათაშვილი მიიღებენ ხალხის გულამდე, საბჭოთა ხელისუფლებამ გაუხსნა მათ ახალი გზა.

კლასიკური ლიტერატურა ჩვენში დიდად პოპულარულია. და როდესაც დღეს ტფილისის ქუჩებში [illegible] გამოჩნდნენ ნადირთა [illegible] საუკუნოების საქართველოს [illegible] ყველა მიხვდა, რომ ისინი „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირები არიან, მათ კვალდაკვალ მიმავალი საშინელი [illegible] ადამიანები კი—ქაჯები.

○

მთელი დღე, საღამო [illegible] ზღაპრული იყვა ქუჩებსა და მოედნებზე. ცეკვა, სიმღერა, თამაში [illegible] არ შეწყვეტილა.

სპორტის მოყვარულებში სტადიონი მიიზიდა. [illegible] სტახანოველთა [illegible] ჩვენთან საუკეთესო ფეხბურთელებთან [illegible]. მათი შეხვედრა ტფილისის [illegible] დიდი [illegible] და დამთავრდა 3:0 ტფილისის ფეხბურთელების სასარგებლოდ.

○

მთელ ღამეს არ დაუძინია გუშინ ტფილისს. მთელ ღამეს ბობოქრობდა მხიარული ტალღა. მთელ ღამეს პროჟექტორები ანათებდნენ ქალაქს, თვითმფრინავების გუგუნი მოისმოდა ზეციდან.

განთავისუფლებას ზეიმობდა ტფილისი, ზეიმობდნენ რაიონებიც. ჩვენთან ერთად ზეიმობდა მთელი საბჭოთა კავშირი, განთავისუფლებულ ხალხთა დიდი სამშობლო.

ზეიმი ტფილისში

ფოტო—რ. აკოფოვისა

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ცაკის საიუბილეო სესია

1936 წ. 25 თებერვალი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავი.

ორდენოსანი საქართველოს და ამიერ-კავკასიის დედა-ქალაქის სახელმწიფო ოპერის თეატრის დარბაზში მიმდინარეობს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საიუბილეო სესია.

საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის ურყევი ძლიერების მკვეთრ და დაუვიწყარ დემონსტრაციას წარმოადგენდა სესია.

შრომის დიდი არმიის საუკეთესო წარმომადგენელთა — ჩვენი ფაბრიკა - ქარხნების, საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების სტახანოველთა, მეცნიერების, ტექნიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკთა, წითელი არმიის სახელოვანი ქართული ნაწილების მეომართა, სოციალიზმის მომავალ მშენებელთა — საბჭოთა საქართველოს ტოლთა ყოველი გამოსვლა, ყოველი სიტყვა გამსჭვალული იყო ულრმესი გულთბილობით, უსაზღვრო სიყვარულით და ერთგულებით დიდი ბელადისადმი, სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის — ამხანაგ **სტალინისადმი**.

სიხარული და საზეიმო განწყობილება მეფობდა სახელმწიფო ოპერის თეატრის დარბაზში, რომელიც კოხტად და სადღესასწაულოდ იყო მორთული ფერადფერადი პლაკატებით და ლოზუნგებით — მისალმებებით ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მოძმე რესპუბლიკების, მძლეთამძლე წითელი არმიის, მთელი ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშრომელთა ძვირფასი და საყვარელი სტუმრის რკინის პროლეტარული მხედართმთავრის საბჭოთა კავშირის პირველი მარშლის, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის **კლიმ ვოროშილოვის** მიმართ.

სცენის სიღრმეში, უზარმაზარი, ლამაზად მორთული ალისფერი ტილოების ქვეშ დიდი **სტალინის** პორტრეტია და — **ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის** სილუეტი.

პორტრეტის ქვეშ-წითელი ტილო, რომელზეც გზინავს მისალმების ლოზუნგი:

— **გაუმარჯოს ორდენოსან საბჭოთა საქართველოს!**

დარბაზში მოჩანს მისალმების ლოზუნგები მოძმე რესპუბლიკების საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებთა ხელმძღვანელის — ამხ. ლავრენტი ბერიას მიმართ.

საღამოს 7 საათზე საიუბილეო სესიის დელეგატებით და მრავალრიცხოვანი სტუმრებით გაჭედილ დარბაზში სრული ჩამოვარდება.

ფარდა ოდნავ შრიალებს. პრეზიდიუმში არიან საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ძვირფასი სტუმრები — სსრკ-ის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. **კ. ე. ვოროშილოვი**, სსრკ ცაკისა და მოძმე უკრაინის ცაკის თავმჯდომარე ამხ. **გ. ი. პეტროვსკი**, ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მთელი პრეზიდიუმი, საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკათა, ოლქთა, მხარეთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები. სესიის დელეგატები და სტუმრები მათ მიესალმებიან ხანგრძლივი ტაშით.

ტაშის გუგუნი უფრო-და-უფრო ძლიერდება.

ყველანი ფეხზე დგებიან.

დარბაზში გაისმის მისასალმებელი შეძახილი.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხდან: **ამხ. კ. ვოროშილოვი, ამხ. გ. ი. პეტროვსკი, ამხ. ფ. მახარაძე, ამხ. ლ. ბერია, ამხ. მუსაბეკოვი, ამხ. გ. მგალობლიშვილი, მ. დ. ბაგიროვი, ხ. კუდრიავცევი, ამხ. ხანჯიანი, ამხ. გ. ბაქრაძე, ამხ. ხ. მარტიკიანი, ამხ. ლევანდოვსკი, ა. გულოიანი, უზბეკისტანის ცაკის თავმჯდომარე ახუნბაბაევი, ბაშკირეთის ცაკის თავმჯდომარე ტაგიროვი, თენგიზ ჟღენტი ნ. ლაკობა, ა. აგრბა, ზ. ლორთქიფანიძე, ხ. ბუაჩიძე, ი. ჯიჯოევი, შ. აღნიაშვილი, ნ. ილიუშინი, ბ. მდივანი, მ. ტორომელიძე, გ. ჟურულაშვილი, გ. სტურუა, იარცევი, ხ გოგლიძე, მ. ნიორაძე, ბუნიატზადე, შ. მათიკაშვილი, გ. არუთინოვი, მ. გობეჩია, გ. ჩხეიძე, ვ. ბოლქვაძე, როზენცვეიგი, პავერმანი, გ. გიორგობიანი.**

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. **ფ. მახარაძე**, რომელსაც მთელი დარბაზი ტაშით შეხვდა გახსნილად აცხადებს სრულიად — საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საიუბილეო სესიას, მიძღვნილს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თხუთმეტი წლისთავისადმი.

ამხ. ფ. მახარაძე შესავალ სიტყვაში ლაპარაკობს იმ გიგანტურ გამარჯვებებზე, რომლებსაც საქართველოს მშრომელებმა მიაღწიეს 15 წლის განმავლობაში **ლენინ-სტალინის** დიადი დროშით.

ამხ. ფ. მახარაძე დაწვრილებით ახასიათებს საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ბრძოლისა და მკვეთრ გამარჯვებათა 15 წლის გზას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს გამარჯვებანი ნათლად გვიჩვენებენ, თუ რის მიღწევა შეუძლიან გმირ აღორძინებულ ხალხს დიდი და ბრძენი ბელადის ამხანაგი **სტალინის** ხელმძღვანელობით.

საბჭოთა კავშირის თავისუფალ ხალხთა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი ბელადის ამხ. **სტალინის** სახელს დარბაზი ხვდება მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით, რომელიც ოვაციაში გადადის.

ტაში და ოვაცია ნელდება ერთი წუთით და კვლავ აზვირთდება მძლავრ ტალღად, როცა ტრიბუნიდან აქვეყნებენ საპატიო პრეზიდიუმის სიას და ამ სიის პირველ სახელს — ამხანაგ **სტალინის** სახელს.

ზეიმის ყველა მონაწილე, ერთის გრძნობით აღფრთოვანებული, ფეხზე დგება.

ტაშის გრიალი ჰფარავს დარბაზის გუგუნს.

„ინტერნაციონალის“ ჰიმნი [illegible] განუწყვეტელ აღტაცებულ მისასალმებელ შეძახილს დიდი მეგობრის, მასწავლებლისა და ბელადის ამხანაგ **სტალინის** მიმართ.

ტაშის ახალ-ახალი აზვირთება, განუწყვეტელი ოვაცია, „ურას“ და „ვაშას“ ძახილი, რომელიც დარბაზში ხანგრძლივად გაისმის — ყოველივე ეს არის ბედნიერების, სიამაყისა და აღტაცების ჰიმნი **ლენინის** საქმის უშიშარი და მამაცი განმგრძობისა — დიდი **სტალინისადმი** ერთგულების ჰიმნი.

და კვლავ გუგუნებს ტაში, ამჯერადაც მიმართული იმ ლოჟისაკენ, სადაც იმყოფება **სტალინის** აღელვებული და ნეტარებით აღსავსე დედა უბედნიერესი მსოფლიოს ქალთა შორის.

ოვაცია მხოლოდ ერთ წუთს სწყდება, რათა ახალი სიძლიერით იფეთქოს, როცა ტრიბუნიდან გაისმის საპატიო პრეზიდიუმის წევრთა, ლენინური პარტიის საუკეთესო შვილთა, დიდი **სტალინის** უახლოეს თანამებრძოლთა სახელი, როგორიც არიან საკავშირო მთავრობის მეთაური ამხ. **მოლოტოვი**, საბჭოების ქვეყნის პირველი მარშალი ამხ. **ვოროშილოვი**, მძიმე მრეწველობის არმიის სარდალი ამხ. **სერგო ორჯონიკიძე**, რკინის სახალხო კომისარი **კაგანოვიჩი**, საკავშირო სტაროსტა **კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, კოსიორი, ჩუბარი, ჟდანოვი, ეჟოვი, პოსტიშევი, დიმიტროვი, რუძუტაკი, პეტროვსკი**, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ნაცადი და საყვარელი ხელმძღვანელი ამხ. **ბერია**.

აღფრთოვანებული, გულითადი ოვაცია და მისალმების შეძახილი განსაკუთრებული, განუმეორებელი სიძლიერით მატულობს, როცა იგი მიმართულია საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშრომელთა ძვირფასი და საყვარელი სტუმრის — დიდი **სტალინის** თანამებრძოლის, რკინის მარშლის ამხ. **ვოროშილოვისადმი**, რომელსაც დარბაზი არაერთგზის მიესალმა ფეხზე ადგომით.

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. **ფ. მახარაძე** პირველ სიტყვას მოხსენებისათვის აძლევს საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **გ. მგალობლიშვილს**, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

ამხ. **გ. მგალობლიშვილის** დიდსა და შინაარსიან მოხსენებას საბჭოთა საქართველოს თხუთმეტი წლისთავის შესახებ დაძაბული ყურადღებით ისმენენ. ეს მოხსენება იმ ისტორიულ გამარჯვებათა ნათელი დემონსტრაციაა, რომლებიც მოიპოვეს საქართველოს თავისუფალი სოციალისტური რესპუბლიკის პროლეტარებმა და კოლმეურნეებმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, — დიდი **სტალინის** უახლოესი მონაწილეობითა და დახმარებით.

ამხ. **მგალობლიშვილი** ლაპარაკობს უდაბურ ადგილას შექმნილ სამრეწველო გიგანტებზე, ახალ, ბედნიერ, შეძლებულ და სასიხარულო ცხოვრებაზე საკოლმეურნეო სოფელში, იმ სოფელში, რომელიც ახლო წარსულში გმინავდა ორნაირი უღლის ქვეშ — თავადების, მენშევიკ-სატრაპებისა და უცხოელ „მფარველთა“ უღლის ქვეშ.

მომხსენებელს მოჰყავს შესანიშნავი ფაქტები და სიტყვები, რომლებიც ახასიათებენ პარტიისა და მთავრობის ყოველდღიურ მზრუნველობას რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური, კულტურული და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის — საბჭოთა საქართველოს მიერ განვლილი 15 წელი, აცხადებს დასასრულ ამხ. მგალობლიშვილი, — ეს არის საუკეთესო დემონსტრაცია მთელი მსოფლიოს წინაშე საწარმოო ძალთა მძლავრი განვითარებისა ოდესღაც ჩამორჩენილ და ჩაგრულ ქვეყანაში, საუკეთესო დემონსტრაცია ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის უმაგალითო აყვავებისა.

ამხ. **მგალობლიშვილი** აღნიშნავს, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობაში ყოველ-წლობით ჩანდება ნახევარ - მილიარდამდე მანეთი, და ამბობს, რომ რესპუბლიკის სხვადასხვანაირ და მდიდარ საწარმოო ძალთა გაფურჩქვნა წარმოუდგენელი იქნებოდა რუსეთის დიადი პროლეტარიატის მხრივ ძმური დახმარების გარეშე. სახალხო მეურნეობის ეს მძლავრი აღმავლობა და გაფურჩქვნა შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, მხოლოდ **ლენინურ-სტალინური** ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების პირობებში, საკ. კ.პ.(ბ) ც. კ.-ის და პირადად დიდი ბელადის ამხ. **სტალინის** ყოველმხრივი მზრუნველობის პირობებში.

საკ. კ.პ.(ბ) ც. კ.-ისა და პარტიის ბელადის ნებასურვილს განუხრელად ახორციელებენ საქართველოს და ამიერ - კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებსაც ხელმძღვანელობს ამხ. **ლ. ბერია**.

და ამ სიტყვების პასუხად დარბაზში კვლავ მქუხარე ტაში გაისმის.

ამხ. **მგალობლიშვილი** აღნიშნავს, რომ რაც უნდა დიდი იყოს ჩვენი დიდი სამშობლოს მიღწევები, ჩვენ ერთი წუთითაც ვერ დავივიწყებთ რომ გარემოცული ვართ კაპიტალისტური სახელმწიფოებით, რომლებიც მახვილს ლესავენ ჩვენს ქვეყანაზე თავდასასხმელად. და თუ ისინი ამას დღემდე ვერ შერებიან, ეს საკმაოდ სერიოზული მიზეზებით აიხსნება. უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ჩვენს გიგანტურ მშენებლობას, ჩვენს სოციალისტურ დოვლათს, ჩვენს ძვირფას სამშობლოს ფხიზლად იცავენ **ლენინისა** და **სტალინის** გამოზრდილი ჩვენი სახელოვანი მუშურ - გლეხური წითელი არმია და წითელი ფლოტი.

მათს სათავეში, - ამბობს ამხ. მგალობლიშვილი, — დგას თეთრი არმიებისა და პროლეტარული საქმის ყველა მტრის დაუზოგავი შემუსვრელი, პირველი მხედართმთავარი მსოფლიოს მხედართ - მთავართა შორის, საბჭოთა კავშირის მარშალი ჩვენი ძვირფასი სტუმარი ამხ. **კლიმ ვოროშილოვი**. ამხ. **კ. ვოროშილოვის** სახელის ხსნება ტაშის ახალ აზვირთებას იწვევს.

საქართველოს ცაკის საიუბილეო სესიის პრეზიდიუმში: ამხანაგები კ. ვოროშილოვი, ლ. ბერია, გ. მუსაბეკოვი, ფ. მახარაძე, გ. პეტროვსკი და სხვ.

◇ ◇ ◇

ზეიმის მონაწილენი, პრეზიდიუმის წევრნი ფეხზე ამდგარნი მიესალმებიან საბჭოთა კავშირის რკინის მარშალს ამხ. **კ. ე. ვოროშილოვს**.

ამ წუთებში ათასობით ადამიანთა აღტაცება გრიგალისებურად მიიმართება რკინის ადამიანისაკენ, უდრეკი ადამიანისაკენ, რომელიც ახასიერებს ჩვენი დიდი წითელი არმიის ძლიერებასა და უძლეველობას.

ამხ. **მგალობლიშვილი** ათავებს თავის მოხსენებას. ამხ. **ფ. მახარაძე** აცხადებს:

— სიტყვა ეძლევა სსრკ-ის ცაკის პრეზიდიუმის წევრს, სსრკ-ის თავდაცვის სახალხო კომისარს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ **ვოროშილოვს**.

ამხ. **ვოროშილოვი** წამოდგება და ტრიბუნისაკენ მიემართება.

იგი დიდ ხანს ვერ ახერხებს სიტყვის დაწყებას. ტაშის გრიალი, მისასალმებელი შეძახილი, საზეიმო, „ინტერნაციონალის“ გუგუნი — ყოველივე ეს ერთიან მძლავრ ტალღად ედება დარბაზს.

ბოლოს დარბაზი ცხრება.

ყველა სულგანაბული ისმენს ამხ. **ვოროშილოვის** მკვეთრ გამოსვლას და ცდილობს არცერთი სიტყვა არ გამოეპაროს.

დარბაზს ხანგრძლივი ტაში ჩაფარავს, როცა საბჭოთა კავშირის მარშალი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის და სსრკ სახკომსაბჭოს დავალებითა და სახელით საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების 15 წლისთავის გამო მხურვალე ბოლშევიკურ სალამსა და მილოცვას გადასცემს ქართველი ხალხისა, და საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოძმე ხალხის ყველა ბოლშევიკს, პროლეტარებსა და პროლეტარ ქალებს, კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მუშაკებს, კომკავშირელებსა და ნორჩ პიონერებს, მუშურ - გლეხური წითელი არმიის ქართულ ნაწილთა წითელ-არმიელებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როგორც კი ამხ. ვოროშილოვი წარმოსთქვამს სიტყვებს: „ცალკე სალამს გადმოგცემთ საბჭოთა კავშირის ხალხთა ბელადის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, ქართველი ხალხის დიადი შვილის ამხანაგი **სტალინის** სახელით“, — „ვაშას“ ძახილი, ხანგრძლივი ტაში ახალი და გაათკეცებული სიძლიერით იფეთქებს.

ერთსულოვანი აღფრთოვანებით შეპყრობილი მთელი დარბაზი ფეხზე დგება და დიდხანს არასწყდება ტაში.

ძლიერი ტაშით, რომელიც ოვაციაში გადადის, არა-ერთხელ აწყვეტინებენ სიტყვას ამხ. **ვოროშილოვს** მაშინაც, როცა იგი საბრძოლო სალამს გადასცემს მუშურ-გლეხური წითელი არმიის სახელით, როცა იგი ლაპარაკობს მრავალრიცხოვანი საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახზე, იმაზე, რომ **სტალინის** ხელმძღვანელობით ჩვენ „საქმე არ წაგვიხდენია“, რომ ჩვენ „მოვემწიფდით“ ხალხთა მძლავრი საბჭოთა ოჯახის დიადი შემქმნელის — **ლენინის** მითითებათა მთლიანად შესრულებისათვის, როცა იგი ლაპარაკობდა: ისეთი სამარცხვინო და საშინელი რამ, როგორიცაა ებრაელთა დარბევა, სომეხ-თათართა ხოცვა - ჟლეტა, სომეხ-ქართველთა ომი და სხვა მსგავსი სისაძაგლე, არ შეიძლება მოხდეს, და **არასოდეს** მოხდება მოძმე საბჭოთა ხალხების კავშირში, რომ საქართველო მხოლოდ ახლა ხდება ნამდვილი ბრილიანტი.

შემდეგ, როცა ამხ. **ვოროშილოვი** აცხადებს:

„**შესანიშნავი წარმატებებისათვის**, სოციალისტური საბჭოთა საქართველო სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელმა კომიტეტმა დააჯილდოვა **ლენინის** ორდენით და მე დავალებული მაქვს გადმოგცეთ ეს ორდენი“. ყველა დამსწრე ფეხზე დგება და ძლიერ, ხანგრძლივ ოვაციას უმართავს ამხ. **ვოროშილოვს**.

ამხ. **ვოროშილოვი** აქვეყნებს სსრკ-ის ცაკის დადგენილებას **ლენინის** ორდენით საბჭოთა საქართველოს დაჯილდოვების შესახებ თვალსაჩინო წარმატებებისათვის სოციალისტურ მშენებლობაში და ამხ. **ფ. მახარაძესთან** ერთად გამოდის ავან-სცენაზე.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას, იგი საქართველოს ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის სახით, გადასცემს **ლენინის** ორდენს და სიგელს, მაგრამ ხელს ართმევს მას და ჰკოცნის. გაისმის „ინტერნაციონალის“ ხმა, მისასალმებელი შეძახილი და მთელი დარბაზის განუწყვეტელი ოვაცია.

ოვაცია კვლავ და კვლავ მატულობს, როცა სსრკ-ის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი ლაპარაკობს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ქართული ნაწილების წარმატებებზე, ზრდასა და მუშაობაზე და აცხადებს, რომ ამხანაგი **სტალინის** სახელობის სამთო მსროლელთა პირველი ქართული დივიზია, რომელიც აგრეთვე ზეიმობს თავისი 15 წლისთავს, დივიზია, რომელიც გმირულად იბრძოდა საბჭოთა საქართველოსათვის, დაჯილდოვებულია „**წითელი დროშის**“ ორდენით, ხოლო ფრუნზის სახელობის მსროლელთა მეორე ქართული დივიზია — „**წითელი ვარსკვლავის**“ ორდენით.

„**ჩვენ - ბოლშევიკები - განსაკუთრებული გრძნობით აღვნიშნავთ და მივესალმებით ქართველ ხალხს, რომელმაც საბჭოთა და მსოფლიო პროლეტარიატს მისცა კომუნიზმის ბელადი, ხალხთა ბელადი, ლენინის დიადი საქმის გენიალური განმგრძობი — სტალინი**“.

იწყება ხელახალი აღფრთოვანებული ოვაცია.

ხელახალი ძლიერებით გაისმის მრავალრიცხოვანი მისალმება მშრომელი ხალხის დიდი მეგობრის, პარტიის ბელადის ამხანაგი **სტალინის** მიმართ.

ძლიერი „ვაშა“ ხელახლა აზანზარებს დარბაზის თაღებს.

ისმის მქუხარე ტაში, რომელიც რამდენიმე წუთს გრძელდება, განუწყვეტლივ ისმის აგრეთვე ძახილი: „ურა“, „ვაშა“ ამხანაგ **სტალინს** და **ვოროშილოვს!**“ და ამ ტაშსა და ძახილში ამხ. ვოროშილოვი თავის სიტყვას ათავებს ქართული სიტყვებით:

გაუმარჯოს საქართველოს მუშებსა და გლეხებს!

დარბაზი კვლავ ფეხზე დგება. იგი ხანგრძლივი ოვაციით აცილებს ამხ. **ვოროშილოვს**, რომელიც სტოვებს ტრიბუნას.

მისალმებით გამოდის სსრ კავშირის ცაკისა და უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარე — **გრიგოლ ივანეს-ძე პეტროვსკი**.

ამხ. პეტროვსკის გამოჩენის დროს ტრიბუნაზე — პრეზიდიუმის წევრები, სესიის დელეგატები და მრავალრიცხოვანი სტუმრები ფეხზე დგებიან და მქუხარე ოვაციას უმართავენ მას.

— უკრაინის ბოლშევიკების კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, **უკრაინის** მთავრობის სახელით, პროლეტარებისა და კოლმეურნეებისაგან, სტახანოველებისა და ხუთასოსნებისაგან, უკრაინის ყველა მშრომელთაგან მიიღეთ მხურვალე, გულწრფელი სალამი და საუკეთესო სურვილები — ამბობს ამხ. პეტროვსკი და მთელი დარბაზის მქუხარე **ტაში გრიალებს**.

ამხ. **პეტროვსკი ამბობს, რომ** ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის **ხალხთა** გაერთიანებისათვის, ყველა მშრომელთა ძმურად ცხოვრებისათვის სოციალიზმის მშენებლობისათვის დიადმა ბრძოლამ უდიდეს მიღწევებამდე მიგვიყვანა. ამ ბრძოლამ გვიჩვენა, თუ რა ღრმად მართალი იყო ჩვენი ბელადი ამხანაგი **სტალინი**, როდესაც **ლენინის** სიკვდილის შემდეგ გენიალურად წინასწარ განსჭვრიტა ჩვენი განვითარების გზები და დასახა გენერალური ხაზი პარტიისა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის.

— მრეწველობის, საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების სტახანოველთა სოციალისტური შეჯიბრების დიად გაძლიერებაში, — ამბობს შემდეგ ამხ. **პეტროვსკი**, — ისმის საწარმოო ძალთა კიდევ უფრო მძლავრი განვითარებისა და მუშათა და კოლმეურნეთა ძლევამოსილი შრომის დასაწყისი.

ჩერდება რა ჩვენი დიდი სამშობლოს, კერძოდ კი საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წინაშე დასახულ მორიგ ამოცანებზე, ამხ. პეტროვსკი გამოსთქვამს რწმენას, რომ ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელნი ამიერკავკასიის ხალხთა ფედერაციის განმტკიცების ისტორიაში ჩაწერენ ახალ ბრწყინვალე ფურცელს, განამტკიცებენ საბჭოთა კავშირის მრავალეროვან ხალხთა ძმურ სოლიდარობას.

ამხ. **პეტროვსკის ბოლო სიტყვები**:

— გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს პროლეტარებს, კოლმეურნეებს, მშრომელ ინტელიგენციას, გაუმარჯოს დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს!** — იძირება ოვაციის ქარიშხალში.

ყველანი ფეხზე დგებიან და აცილებენ ამხ. პეტროვსკის, რომელიც პრეზიდიუმის მაგიდისაკენ მიემართება. დარბაზში გაისმის ძახილი:

— მოძმე უკრაინას—ვაშა!

კიდევ და კიდევ აგორდება ტალღა მოძმე რესპუბლიკისადმი ხმამაღალი მისალმებისა.

შემდეგ მისალმებისთვის სიტყვა ეძლევა ამიერ-კავკასიის სფსრ-ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **გ. მუსაბეკოვს**.

მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნის რა თავისუფალ ქართველ ხალხს საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის ფედერაციის მთავრობის სახელით, ამხ. მუსაბეკოვი ამბობს:

„შესანიშნავი საქართველოს თხუთმეტი წლისთავის სასიხარულო დღეს — ჩვენი პირველი სიტყვა, სიტყვა უსაზღვრო სიყვარულისა, ერთგულებისა და ულრმესი პატივისცემისა უნდა უძღვნათ მას, ვინც კაცობრიობის უდიდესი გენიოსის—**ლენინის** მოძღვრების საფუძველზე აქ, საქართველოში და მთელ ამიერ-კავკასიაში მტკიცე, ურყევი საძირკველი ჩაუყარა ჩვენს გამარჯვებებს — ამხანაგ **სტალინს**.

ჩერდება რა საბჭოთა საქართველოს საწარმოო ძალთა გიგანტურ გაფურჩქვნაზე, სუბტროპიკული [illegible] ჩაის და ძვირფასი ტექნიკური კულტურების მოსავლის სიუხვეზე, ქართული კულტურის გაუგონარ აყვავებაზე, რომელიც ფორმით ნაციონალურია, შინაარსით კი სოციალისტური, ამხ. **მუსაბეკოვი** გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით, საკ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ს ხელმძღვანელობით, რომელთაც მეთაურობს ამხ. **ლ. ბერია**, საბჭოთა საქართველოს მშრომელები მედგრად წავლენ წინ ახალი და ახალი გამარჯვებებისაკენ.

ამხ. **მუსაბეკოვი** თავის მისალმებას ათავებს ძლიერი, ხანგრძლივი ტაშის ქვეშ და ამბობს:

— გაუმარჯოს უძლეველ ლენინურ — სტალინურ კომუნისტურ პარტიას და ჩვენს დიდ ბელადს, საყვარელ და ძვირფას **სტალინს!**

ტრიბუნაზეა აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-ს და ბაქოს კ-ს მდივანი ამხ. **მირ ჯაფარ ბაგიროვი**.

აღფრთოვანებული ტაში გრძელდება მთელი იმ ხნის განმავლობაში, რომლის დროსაც სცენაზე გამოდიან მოძმე აზერბეიჯანის დელეგაციის წევრები, ნავთისათვის, ბამბისათვის, საუკეთესო მებრძოლთა შორის უკეთესნი, ჩამოსულნი, რომ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ სახელოვანი იუბილეის დღესასწაულში.

როდესაც ტაში ნელდება, ამხ. **ბაგიროვი** მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს მშრომელებს, ბაქოს ნავთის მუშაკთა, საბჭოთა აზერბეიჯანის კოლმეურნეთა და მშრომელთა სახელით.

— **საბჭოთა საქართველოს თხუთმეტი წლისთავი**, — ამბობს ამხ **ბაგიროვი**, — ეს არის ტრიუმფი ბოლშევიზმისა, ტრიუმფი ჩვენი პარტიის **ლენინურ - სტალინური** პოლიტიკისა; ეს არის სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის დემონსტრაცია, ეს არის საბჭოთა ამიერკავკასიის, ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის ამ განუყრელი ნაწილის ხალხთა ურღვევი, მტკიცე, საბრძოლო მეგობრობის მოწმობა.

ამხ. **ბაგიროვს** არაერთხელ აწყვეტინებენ სიტყვას მქუხარე ტაშით.

სცენიდან გასვლისას აზერბეიჯანის დელეგაციის წევრები, ხანგრძლივი ტაშის ქვეშ, ხელს ართმევენ ამხ. **ვოროშილოვს, ამხ. ბერიას** და ამხ. **მუსაბეკოვს**.

გაისმის პიონერთა ბუკის ხმა. მტკიცე ნაბიჯით გამოდიან სცენაზე პიონერები — **საბჭოთა საქართველოს ტოლები**.

თითოეული პიონერი, ქალი თუ ვაჟი, სწორედ 15 წლისაა. ბედნიერი ბავშვები სიხარულით ეგებებიან დარბაზის მისალმებას.

ცოცხალი ყვავილების უზარმაზარი თაიგულებით ხელში პიონერები გარს ერტყმიან პრეზიდიუმის მაგიდას, სალამს უძღვნიან საყვარელ **კლიმ ვოროშილოვს**, უკრაინის პიონერების მეგობარს — **პეტროვსკის**, ამიერ-კავკასიისა და საქართველოს პიონერების მზრუნველ მეგობარს — **ლავრენტი ბერიას**.

პიონერის **მარგო ქორიძის** მისალმების პირველივე სიტყვები დარბაზს იძულებულს ხდის გაინაბოს და ყურადღებით ისმინოს მისი შესანიშნავი სიტყვა.

წყალივით, წყნარად და გულდაჯერებით ლაპარაკობს იგი თავისი და პიონერების, ყველა ბავშვთა ბედნიერ ცხოვრებაზე, სწავლის ფრონტზე წარმატებათა შესახებ, ბედნიერი მომავლის წარმტაც ნათელ იმედებზე.

— **მადლობა სტალინს!**

— **მადლობა ვოროშილოვს!**

— **მადლობა ლავრენტი ბერიას!**

ეხმაურებიან მას დარბაზის სხვადასხვა კუთხიდან პიონერები.

პიონერები სტოვებენ სცენას და პრეზიდიუმის მაგიდას ავსებენ ყვავილების უზარმაზარი თაიგულებით

პიონერებს შორეული უზბეკისტანის დელეგატები სცვლიან. ტრიბუნაზე ადის კოკანდის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მირხაიდოვი**. ახალი ძალით ჰქუხს ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის, როდესაც ამხ. **მირხაიდოვი** ამთავრებს თავის მისალმებას, ხოლო დელეგატები უძღვნიან **ამხანაგ ლავრენტი ბერიას, ფ. მახარაძეს და გ. მგალობლიშვილს** უზბეკისტანის ხალხის საჩუქარს — ლამაზ აბრეშუმის ხალათებს და ჭრელ ტიუბეტეიკებს.

დარბაზიდან ისმის ძახილი: „ვაშა, **ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხებს!**“

მოძმე საბჭოთა სომხეთის დელეგატები უძღვნიან ამხანაგ **ლ. ბერიას** ახალ საჩუქარს — საწერ ნივთებს ერევნის მარმარილოს ქარხნის მუშათაგან და ხალიჩას, რომელზეც ამოქარგულია მისი პორტრეტი. დარბაზი ოვაციას უმართავს დელეგატებს.

ტრიბუნაზე სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გულოიანი**.

— ამას წინათ ჩვენ ვიდღესასწაულეთ საბჭოთა სომხეთის თხუთმეტი წლის თავი — ამბობს იგი. ჩვენ მაშინ გვიხაროდა ჩვენი წარმატებები სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. კიდევ უფრო მეტი სიხარულისა და სიამაყის გრძნობებს განიცდიან სომხეთის მშრომლები, კოლმეურნეები, ბოლშევიკები ახლა მოძმე საბჭოთა საქართველოს თხუთმეტი წლის იუბილეის დღეს.

დელეგატები ზედიზედ სცვლიან ერთიმეორეს [illegible] ჰგონია, რომ დასასრული არ ექნება ამ მხურვალე პროლეტარულ მისალმებებს, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურყევი მეგობრობის ამ დემონსტრაციას. ბაშკირეთის ცაკის თავმჯდომარის ამხ. **ტაგიროვის**, აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარის ამხ. **ლაკობას**, ბელორუსიის საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის წევრის ამხ. **კლიმკოვიჩის**, გერმანელი პროლეტარული მწერლის **იოჰან ბეხერის**, ყირიმის ორდენოსანი რესპუბლიკის წარმომადგენლის **მირხელილევის**, კურსანტ **აბრამიშვილის**, სტალინის სახელობის ორთქლმავლის სარემონტო ქარხნის მჭედლის მუშა სტახანოველის ამხ. **დ. ჭიჭინაძის**, აჭარის ცაკის თავმჯდომარის ამხ. **ზ. ლორთქიფანიძის**, სამხრეთ - ოსეთის ცაკის თავმჯდომარის ამხ. **ჯიჯოევის**, მახარაძის რაიონის კოლმეურნეობა „ჯუმათის“ თავმჯდომარის ამხ. **დოლიძის**, მწერალ **გ. ლეონიძის** და პროფ. **ნუცუბიძის** მიერ წარმოთქმულ სიტყვებში გაისმის ახალი ბედნიერი ცხოვრების სიყვარული, დიდი **სტალინის** მიმართ მადლობა.

თბილად ხვდება დარბაზი **საბჭოთა საქართველოს** მშრომელი ინტელიგენციის მრავალრიცხოვან დელეგაციას, რომლის სახელითაც მწერალი გ. ლეონიძე და პროფესორი ნუცუბიძე გამოდიან.

მშრომელი ინტელიგენციის დელეგაცია მხურვალედ მიესალმება ამხანაგ **ვოროშილოვს**, გადასცემს ამხანაგ **ლ. ბერიას** ალბომსა და ახალ სამეცნიერო გამოცემებს და სტოვებს სცენას, რასაც მოსდევს ხანგრძლივი ტაში.

აქვეყნებენ სსრკ სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ც. კ. დეპეშას, რომელიც ხელმოწერილია ამხანაგ **სტალინისა** და ამხ. **მოლოტოვის** მიერ.

დარბაზი წყნარდება.

ხარბად უგდებს ყურს სესიის თითეული მონაწილე მისასალმებელ დეპეშის სიტყვებს, რომელიც ლაპარაკობს სანიმუშო რესპუბლიკის მიღწევების შესახებ, და მოისმის ისე, როგორც მოქმედების საბრძოლო პროგრამა ახალი ამოცანებისათვის, ახალი გამარჯვებებისათვის ბრძოლაში. მქუხარე ტაში მოისმის დარბაზიდან და ჰფარავს მისასალმებელი დეპეშის სიტყვებს.

შემდეგ, შეუწყვეტელი ტაშის ქვეშ ქვეყნდება დეპეშები: ამხ. **ლ. მ. კაგანოვიჩისა**, ამხ. **სერგო ორჯონიკიძისა**, ამხ. **ა. მიქოიანისა**, ამხ. **ა. ჟდანოვისა, რ.ს.ფ.ს.რ. ცაკის — მ. ი. კალინინისა**, ამხ. **სულიმოვისა, იაგოდისა, ჩერნოვისა, როზენჰოლცისა, ვეიცერისა, პახომოვისა, ევდოკიმოვისა, ხაცკევიჩისა, ხატაევიჩისა, ბალიცკისა, და ბელორუსიის, უზბეკისტანის, ტაჯიკისტანის, თურქმენიის, ყაზახსტანის, ბაშკირეთის, ყირიმის, ყარა-ყალპაკიის, დაღესტნის, აზოვ-შავიზღვის მხარის, დონეცის ოლქის, კუიბიშევის მხარის, ყაბარდო-ბალყარეთის, სვერდლოვის ოლქის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, კიევის ოლქის, შორეულ-აღმოსავლეთის მხარის** და სხვ. პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებისაგან.

ქვეყნდება თვალუწვდენელი საბჭოთა ქვეყნის ყველა მხრიდან მიღებული მრავალრიცხოვანი დეპეშების ტექსტები: საბჭოთა კავშირის გმირების ამხ. **ხლებნიკოვისა, ლიდაჩევსკისა, ვოდოპიანოვისა**, აკადემიკოსების **კარპინსკისა, კრჟიჟანოვსკისა, კომაროვისა, გორბუნოვისა**, მწერლების **იანკა კუპალასი, დემიან ბედნისა**, სახალხო არტისტების **კაჩალოვისა, ვ. მეიერხოლდისაგან** და სხვა.

კვლავ გუგუნებს ტაში რომელიც ოვაციაში გადადის. ყველა ფეხზე დგება და შეუწყვეტელი ტაშით ჰფარავენ საპასუხო დეპეშის ტექსტს დიდი **სტალინისადმი**. უდიდესი ერთსულოვნებით იღებს სესია წინადადებას გაეგზავნოს მისალმებები: ამხ. **კალინინს მოლოტოვს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, ს. ორჯონიკიძეს, მიქოიანს**, საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს — **ლ. ბერიას**, რსფსრ-ის **საბჭოთა აზერბეიჯანის, სომხეთის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკისტანის, ტაჯიკისტანის მშრომელთ და მოსკოვის, ლენინგრადის და ჩრდილო - კავკასიის პროლეტარებს.**

შემდეგ საქართველოს სსრ ცაკის მდივანი ამხ. **თ. ჟღენტი** აქვეყნებს საქართველოს სსრ ცაკის დადგენილებას ამნისტიის შესახებ.

ამხ. **ფ. მახარაძის** საბოლოო სიტყვის შემდეგ საიუბილეო სესია ამთავრებს თავის მუშაობას.

პრეზიდიუმის ყველა წევრი, დელეგატები და სტუმრები ფეხზე მდგომნი მღერიან დიად პროლეტარულ ჰიმნს — „ინტერნაციონალს“.

ღამის ორი საათია.

ზეიმის მონაწილენი გამოდიან სინათლით უხვად მოფენილ მზიან დღესავით განათებულ რუსთაველის პროსპექტზე.

და სესიის ყველა მონაწილეს თან მიაქვს გულში ღრმად აღბეჭდილი სსრკ სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ც.-კის მისასალმებელი დეპეშის სიტყვები.

„**მტკიცედ უჭირავთ ხელში საქართველოს ბოლშევიკებს — ხოლო მათი ხელმძღვანელობით საქართველოს ყველა მშრომელსაც — ლენინ-სტალინის პარტიის დიადი უძლეველი დროშა**“.

ამ დროშით საქართველოს და ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშრომელები მტკიცე ნაბიჯით მიემართებიან სოციალისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისაკენ.

▲ ▲ ▲ ▲ ▲ ▲

ფოტო რ. აკოფოვისა.

საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. კ. ვოროშილოვი ამხ. ფ. მახარაძეს გადასცემს საბჭოთა საქართველოს ლენინის ორდენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. გ. ი. პეტროვსკის სიტყვა

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საიუბილეო სესიის სხდომაზე 1936 წლის 24 თებერვალს

თქვენ, ამხანაგებო, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრნო, რომლებიც დღეს აღნიშნავთ საბჭოთა საქართველოს შექმნის 15 წლისთავს, რომლებმაც დაიცავით იგი სასტიკ ბრძოლაში მრავალრიცხოვანი კლასობრივ მტრების წინააღმდეგ და რომლებიც ამიერ-კავკასიის სოციალისტური რესპუბლიკების სახელოვან ფედერაციაში დიდ სოციალისტურ მშენებლობას ეწევით.

თქვენ, ამხანაგებო, ქართველო ბოლშევიკებო, ყველა მშრომელთა ბელადის ამხანაგ სტალინის სამშობლოს ბედნიერო შვილნო, დიადი საკავშირო კომუნისტური პარტიის ჯანსაღო და ურყევო რაზმო;

თქვენ, დიადი სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელნო, რომლებიც საუცხოოდ ახორციელებთ ლენინურ-სტალინურ პოლიტიკას;

თქვენ, სახელოვანო კომკავშირელებო, ძველი ბოლშევიკური გვარდიის საიმედო დამცველებო, რომლებიც დგეხართ მოწინავე პოზიციებზე სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში და შეუპოვრად ეუფლებით ტექნიკას, მეცნიერებასა და ხელოვნებას სოციალისტური გამარჯვებათა განმტკიცების საქმისათვის;

თქვენ, საქართველოს პროლეტარებო, რომლებმაც გადაგდეთ მძიმე ბრძოლა იმპერიალისტების, ნაციონალისტების, გამცემ - მენშევიკების წინააღმდეგ, და რომლებიც ახლა ერთსულოვანი მუშური სოლიდარობით ამაგრებთ პროლეტარიატის დიქტატურას უკლასო საზოგადოების აშენებლად;

თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, საქართველოს კოლმეურნენო, რომლებმაც დასძლიეთ კულაკური მოძალეობა, ბურჟუაზიულ - მენშევიკური ნაციონალისტური შხამი და რომლებიც ხალხთა ძმურ ოჯახში ახლა ამაგრებთ სოციალისტურ მშენებლობას სოფლად;

თქვენ, საქართველოს მშრომელო ინტელიგენციავ, რომლებიც ეუფლებით მეცნიერებასა და ტექნიკას და დგებით სოციალიზმის ჩვენს ქვეყანაში განხორციელებისათვის გაჩაღებული მშრომელთა მოძრაობის პირველ რიგებში;

თქვენ, წითელო მეომრებო, რომლებიც კომუნისტურად იზრდებით და ყველა ჩვენგანში იწვევთ სიხარულსა და უფრო მეტ რწმენას ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა მოძმე, სოციალიზმის საბოლოო აშენების საქმისათვის—უკრაინის ბოლშევიკების კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, უკრაინის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით, უკრაინის მთავრობის სახელით, უკრაინის პროლეტარიატისა და კოლმეურნეებისაგან, სტახანოველებისაგან და ხუთასოსანებისაგან, ყველა მშრომელისაგან მხურვალე, გულწრფელ სალამსა და საუკეთესო სურვილებს გიძღვნით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში „ვაშას“ ძახილი. ორკესტრი ასრულებს ტუშს).**

ამხანაგებო, გასული წლის დამლევს და ამა წლის დამდეგს ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხები ერთიმეორეზე აღნიშნავენ თავის მიღწევებს კაპიტალისტური მონობისა და ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების დროიდან.

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ საქართველოს ორდენოსანი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის 15 წლისთავს.

როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები აღნიშნავენ თავისი განთავისუფლების დროს, მათ აგონდებათ ცარიზმისა და პოლიციური რეჟიმის საშინელებანი, რომლებმაც რუსეთი ხალხთა საპყრობილედ გადააქციეს, და მთელი ის მძიმე კლასობრივი ბრძოლა, რომელსაც მშრომელები თითოეულ რესპუბლიკაში ეწეოდნენ თავისი განთავისუფლებისათვის ინტერვენტების, გამცემ - მენშევიკების, პეტლიურელების, კულაკების, დაშნაკების, მუსავატელების, ბეგების, ბაების, ნაციონალისტებისა და იმპერიალიზმის სხვა დამქაშების წინააღმდეგ.

განვლო დრომ, ხოლო ეს დრო საუკეთესო მოწმეა იმ ამბებისა, რომლებიც ისტორიაში ხდება.

ჩვენს დიად ბრძოლას ჩვენი საბჭოთა კავშირის მრავალეროვან ხალხთა გაერთიანებისათვის, ყველა მშრომელის ძმური თანამშრომლობისათვის, სოციალიზმის მშენებლობისათვის — უდიდესი მიღწევები მოჰყვა. ამ ბრძოლამ დაგვანახვა, რამდენად მართალი იყო ჩვენი დიადი კომუნისტური პარტია, რა გენიალურად განსჭვრიტა ამხ. **ლენინმა** კაპიტალიზმის ლპობა, იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავება და პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის კლასობრივი ბრძოლის უფრო და უფრო გამწვავება.

ამ ბრძოლამ დაგვანახვა, რა ღრმად მართალი იყო ჩვენი ბელადი ამხ. **სტალინი**, რომელმაც გენიალურად განსჭვრიტა **ლენინის** სიკვდილის შემდეგ მთელი ჩვენი განვითარება და განსაზღვრა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის, ხაზი რამაც უზრუნველყო სოციალიზმის მშენებლობის უდიდესი წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში.

ამ ბრძოლამ დაგვანახვა, რამდენად მართალი იყო ამხანაგი **სტალინი**, რომელიც [illegible] ლენინური ნაციონალური პოლიტიკა ამიერ-კავკასიის, შუა-აზიისა და მთელი საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების [illegible] სოციალისტური მშენებლობისათვის, კაპიტალისტური ელემენტებისა და ნაციონალიზმის ნაშთების ლიკვიდაციისათვის.

ამ ბრძოლამ დაგვანახვა, რა ღრმად მართალი იყო ამხანაგი **სტალინი**, როცა მან ბრძოლა [illegible] ტროცკიზმის წინააღმდეგ, მემარჯვენეთა წინააღმდეგ, პარტიის ლენინური ხაზისაგან ყველა გადამხრელთა წინააღმდეგ.

ამხ. პეტროვსკი ამბობს სიტყვას

რა მოუვიდოდა საქართველოს ან უკრაინის ხალხებს, რომ პეტლიურელებისა, მენშევიკებისა, მუსავატელებისა ან დაშნაკებისათვის გაემარჯვებინათ?

ხალხები ჩავარდებოდნენ ფაშისტებისა ან იმპერიალისტების კიდევ უფრო მეტ მონობასა და ჩაგვრაში.

ცხოვრებამ დაგვანახვა, თუ რა მოჰყვა ფაშიზმის ბატონობას, რა [illegible] გულშემზარავია ფაშიზმის ბატონობა გერმანიაში, სადაც შუა-საუკუნეობრივ ჩვეულებებს აღორძინებენ, სადაც პროლეტარები და გლეხები უფრო ძლიერად გმინავენ კაპიტალისტური ექსპლოატაციის მარწუხებში! რა მხეცური სიძულვილის სული სდით ფაშისტებს, რომლებიც აღვივებენ უკიდურეს ნაციონალისტურ სიძულვილს მშრომელთა დამონებისა და თავისი დაპყრობითი პოლიტიკის ინტერესებისათვის.

საშინელების გრძნობით და სიძულვილით იხსენებენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები წინანდელ ბურჟუაზიულ ბატონობას და კიდევ უფრო მეტი რევოლუციური სიფხიზლით იკრებენ მთელ თავის ძალღონეს კონტრ-რევოლუციის ნაშთების, არა საბოლოოდ მოსპობილი ნამსხვრევების წინააღმდეგ საბრძოლველად და მთელ ჩვენს ახალგაზრდობას უნერგავენ კაპიტალისტური რეჟიმის, ნაციონალური შუღლის, ფაშიზმის სიძულვილს.

არა, არასოდეს არ დაბრუნდება ჩვენს ქვეყანაში არც კაპიტალისტური სისტემა, არც ფაშიზმი! ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა გაიმარჯვა, ვინაიდან ძლიერია ლენინ-სტალინის დიადი პარტია, რომელმაც გააერთიანა ხალხები „ფინეთის ცივი კლდეებიდან მზიან კოლხიდამდე“... და შეამჭიდროვა ისინი დიად სოციალისტურ მშენებლობაში თავისუფალი შრომისათვის, თავისი ბედნიერებისათვის და მომავალი თაობის ბედნიერებისათვის.

ჩვენ ეს-ეს არის აღვნიშნეთ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის 18 წლისთავი, რომელმაც კლასობრივ ბრძოლებში დიდი განსაცდელი გამოიარა, გამოიწრთო და პარტიის ხელმძღვანელობით, ამხ. სტალინის, თავდაცვის კავშირის პირველი სახელოვანი მარშლის ამხ. ვოროშილოვის **(მქუხარე ტაში)** ხელმძღვანელობით ამჟამად წარმოადგენს უდიდეს ძალას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, ძალას, რომელიც არამც თუ უნდა ეცნო მრავალ კაპიტალისტურ ქვეყანას, არამედ რომელზედაც მრავალი ხალხი ამყარებს თავის დაცვის იმედს ფაშისტების, შავი რეაქციის მუქარისაგან.

პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლის 18 წელი გვიჩვენებს არა მარტო თქვენს, არამედ სხვა რესპუბლიკებშიც უდიდეს მიღწევებს საწარმოო ძალთა განვითარების მხრივ და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის მხრივ, აგრეთვე სოციალისტური კულტურის აყვავების მხრივ.

მე ამასწინათ მივიღე მშვენივრად დასურათებული, მხატვრულად შესრულებული ალბომი, რომელიც მიძღვნილია აზერბეიჯანის 15 წლისთავისადმი. ამ ალბომში გამოხატულია აზერბეიჯანის მუშათა და გლეხთა 15 წლიანი ყველა ეტაპის ბრძოლა კომუნისტური პარტიის მეთაურობით. საკავშირო ბოლშევიკი ამხანაგების — სერგოს, კიროვის და მიქოიანის მეთაურობით, — მუშებისა და გლეხების ბრძოლამ, რომლითაც იხსნა საბჭოთა აზერბეიჯანი იმპერიალისტებისა და მუსავატელებისაგან.

საბჭოთა აზერბეიჯანი მუშათა და გლეხთა სისხლით არის მოპოვებული. [illegible] მაგრამ ჩვენი ქვეყნის მშრომელები არ დაივიწყებენ ბაქოს 26 კომისრის ტრაგედიას, რომლებიც დახვრიტეს მუსავატელებმა, დაშნაკებმა, ინტერვენტებმა.

ახლა კი ორდენოსანი აზერბეიჯანი ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკაა. იქ შენდება ახალი სოციალისტური მრეწველობა, რომელიც მარტო ნავთს ორ-სამჯერ მეტს იძლევა, ვიდრე ომამდე იძლეოდა. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში ჩაბმულია გლეხების მეურნეობათა 80 პროცენტი. ბაქო ჩვენს თვალწინ გახდა ძლიერი სამრეწველო, პროლეტარული ცენტრი, რომელშიც სამ-ოთხჯერ მეტი მოსახლეობა არის, ვიდრე ომის წინა დროს იყო.

იგივე პროცესი ხდება საბჭოთა სომხეთშიც, რომელმაც ამასწინათ აღნიშნა თავისი 15 წლისთავი.

ცარიზმის დროს სომხის ერი ყველაზე დაჩაგრული იყო. ქვეყნიერად გაფანტულს მას არ ჰქონდა თავშესაფარი და არავითარი მფარველობა საკუთარისა და უცხოეთის ბურჟუაზიის მონობისა და ჩაგვრისაგან.

რამდენი რბევა და ხოცვა-ჟლეტა გამოიარა სომხებმა ხალხმა. ცარიზმი ერთ ერს მეორეს უსევდა, პირველ ყოვლისა სომხების წინააღმდეგ.

დიდმა ოქტომბრის პროლეტარულმა რევოლუციამ გაათავისუფლა სომხის ხალხი, როგორც სხვა ხალხებიც კაპიტალისტური მონობის ბორკილებისაგან და ახლა სომხეთის მშრომელები ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმურ ოჯახში აშენებენ თავის კულტურას ფორმით ნაციონალურს და შინაარსით სოციალისტურს.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ სახელოვანი საბჭოთა სოციალისტური უკრაინის შესახებ.

უკრაინის მშრომელებმაც გამოიარეს კლასობრივი ბრძოლისა, სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის მძიმე ტანჯვა.

ვინ გინდათ ჩვენთან არ ყოფილიყოს! გერმანელებიც, დენიკინელებიც, გეტმანელებიც, პოლონელებიც, პეტლიურას, მახნოს, გრიგორიევისა და სხვა ბანდები.

მაგრამ პროლეტარიატისა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ძალამ, **ლენინ - სტალინის** ბრძნულმა სტრატეგიამ, სახელოვანი წითელი არმიის თავდადებულმა ბრძოლამ და რუსეთის პროლეტარიატის ძმურმა დახმარებამ გვიშველეს, რომ უკრაინა გაეთავისუფლებინა გარეშე და შინაურ მტერთა შემოსევისაგან.

ახლა საბჭოთა უკრაინა არის ძლიერი დიადი სტახანოვური მოძრაობის სამშობლო მრეწველობასა და ტრანსპორტზე, ხუთასოსან ქალთა სამშობლო (ტაში).

უკრაინა მძლავრი ინდუსტრიული ქვეყანა შეიქნა.

მე არ მოგიყვანთ აქ მთელ რიგ ციფრებს, რომლებიც ყოველ მშრომელის სასიხარულოდ და კაპიტალისტების გულის მოსაკლავად გვიჩვენებენ, თუ რამდენად ფართოდ განვითარდა უკრაინაში ნახშირისა და ფოლადის ამოღება, ტრაქტორებისა და კომბაინების წარმოება, როგორ დაირაზმა კოლმეურნეობებად ჩვენი ღარიბი და საშუალო გლეხობა სასტიკ კლასობრივ ბრძოლაში. საკმარისია ვთქვათ, რომ ამჟამად გლეხთა მეურნეობების 90 პროცენტზე მეტი კოლმეურნეობებადაა გაერთიანებული, იგი შეიარაღებულია ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო - სამეურნეო მანქანების ძლიერი პარკით.

უკრაინის და მთელი კავშირის მრეწველობისა, საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების მოწინავეების სტახანოველთა სოციალისტური შეჯიბრების დიდ გამოხმაურებაში მოისმის დასაწყისი საწარმოო ძალთა და მუშათა და კოლმეურნეთა ძლევამოსილი შრომის კიდევ უფრო ძლიერი განვითარებისა. უკრაინის ყველა მშრომელი ამჟამად იკრებს თავის ძალღონეს, რათა შეასრულოს ამხ. **სტალინის** მითითებანი მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების შესახებ და დაეხმაროს ქვეყანას უახლოეს სამ-ოთხი წლის განმავლობაში მიიღოს—7—8 მილიარდი ფუთი მარცვლეული. ჩვენი ხუთასოსანი ქალები, რომლებთაც უკვე შესძლეს მიეღწიათ შაქრის ჭარხლის ხუთასცენტნერიანი მოსავლისათვის ერთ ჰექტარზე — ამჟამად იბრძვიან იმისათვის, რომ 1936 წელს ჰექტარზე მიიღონ 600—700—800 და 1000 ცენტნერი მოსავალიც კი **(ტაში)**.

უფრო და უფრო მატულობს უკრაინის მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა. ისინი წარმატებით იმკვიდრებენ საამურ, ბედნიერ და შეძლებულ ცხოვრებას.

დღეს ჩვენ ზეიმით ვდღესასწაულობთ საბჭოთა საქართველოს 15 წლის საამაყო იუბილეს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამიერ - კავკასიის ფედერაციისათვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისთვისაც.

საქართველოში, სახელდობრ ტფილისში დაიწყო ყველაზე ადრე რევოლუციური ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ.

აქ აარსებდა ამხანაგი **სტალინი** პირველ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. განსაკუთრებით ნათლად სჩანს ეს ამხანაგ ბერიას შესანიშნავ მოხსენებაში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის შესახებ. ეს მოხსენება ახლა უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს ჩვენი პარტიის ისტორიის შესასწავლად **(მქუხარე ტაში)**.

საქართველოს პროლეტარიატმა და გლეხობამ მოგვცა ამხ. **სტალინი (მქუხარე ტაში)**, ამხ. **ორჯონიკიძე (მქუხარე ტაში)** და მთელი რიგი ბოლშევიკები — პარტიისა და სოციალისტური მრეწველობის ხელმძღვანელები.

საქართველო ცენტრია უდიდესი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული განვითარებისა მთელს ამიერ - კავკასიაში. საქართველოს მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს თავის სამეურნეო განვითარებაში, მეტადრე ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეში.

საქართველოს თეთრი ნახშირის ქვეყანა გახდა და მისი უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეები: ჭიათურის შავი ქვა, ტყვარჩელის ნახშირი, რკინის მადანი, მოლიბდენისა, ვოლფრამისა და მთელი რიგი სხვა ძვირფასი ლითონების ბუდობები მას საუცხოო პერსპექტივას უქმნიან შავი და ფერადი მეტალურგიის განვითარებისათვის, სახალხო მეურნეობის კიდევ უფრო ძლიერი აყვავებისათვის.

იზრდება ქართველი ხალხის შემოქმედება. საქართველოს ლიტერატურა და ხელოვნება ძველთაგანვე განთქმულია თავისი მაღალი მხატვრული ღირებულებით. სულ უფრო-დაუფრო მატულობს საბჭოთა ინტელიგენციის კადრები.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი ხალხის შემოქმედება ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში მოახერხებს გამონახოს ყოველგვარი გზა იმისათვის, რომ მჭიდროდ დაუკავშირდეს ყველა ხალხს, კერძოდ უკრაინის მწერლებსა და მხატვრებს, რათა ერთსულოვანი ურთიერთდაკავშირების საფუძველზე დაეხმაროს ყველა ეროვნების, ყველა ხალხის ტალანტების კიდევ უფრო მეტად გაფურჩქნას.

საქართველოს ბოლშევიკებმა და მშრომელებმა ბევრი გააკეთეს იმისათვის, რომ მოეცათ ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის მაღალი ღირებულების ციტრუსები, ტექნიკური კულტურები და სამკურნალო მცენარეები. მაგრამ უფრო დიდ ამოცანებს აყენებს თქვენს წინაშე ამხანაგი **სტალინი** ამ საქმეში.

ყველაფერი ეს დიდ თვითმოქმედებას მოითხოვს საქართველოს, მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელთაგან.

ეჭვი არ არის, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხელისუფლების უზენაესი ორგანოს—საქართველოს სსრ ცაკის ხელმძღვანელობით, რომელსაც მეთაურობს ამხ. მახარაძე—საქართველოს მშრომელები გადაშლიან შრომის ისტორიის ახალ ფურცელს ამიერ-კავკასიის ხალხების დიდი ფედერაციის განმტკიცების საქმისათვის, ძმური ურთიერთდახმარების საქმისათვის და სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობისათვის მთელ საბჭოთა კავშირში.

აღვნიშნავთ რა მშრომელთა უდიდეს შრომით გმირობასა და მიღწევებს, მათი ბრძოლისა და გამარჯვებათა ისტორიას, საჭიროა, ამხანაგებო, გული არ დავიმშვიდოთ ამ მიღწევებით. არამედ, პირიქით, უნდა მოვახდინოთ მშრომელთა ყველა ძალის რაც შეიძლება მეტი მობილიზაცია და შემდგომაც ვიბრძოლოთ ახალი მიღწევებისათვის.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ფაშისტები და იმპერიალისტები დაუცხრომელი აქტივობით ემზადებიან სსრკ-ზე თავდასასხმელად.

უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული რესპუბლიკის შიგნით არიან მიყუჩებული დამარცხებული, მაგრამ ჯერ საბოლოოდ ჩაუკვლელი მტრები.

კრიტიკითა და თვითკრიტიკით **ლენინისა და სტალინის** მითითებათა საფუძველზე უნდა გამოვააშკარავოთ ჩვენი ნაკლი, გადაჭრით ვებრძოლოთ კონსერვატიზმს, ოპორტუნიზმს, ნაციონალიზმს და მთელი ძლიერებით გავშალოთ ფართო მშრომელი მასების შემოქმედებითი ძალები საბჭოებში, პროფკავშირებსა და კოლმეურნეობებში.

ჩვენმა ქვეყანამ ფეხი შედგა 1936 სტახანოვურ წელში. პროლეტარები, კოლმეურნეები, მშრომელი ინტელიგენცია ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წარმატებით შეასრულონ მეორე ხუთწლედი, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ხუთწლედი.

და ამ ძლევამოსილ მოძრაობაში საქართველოს მშრომელებმა პირველი ადგილი უნდა დაიკავონ.

მაშ გაუმარჯოს სოციალისტური საქართველოს აყვავებას! გაუმარჯოს მისი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძლიერ განვითარებას! გაუმარჯოს სასიხარულო, ბედნიერ ცხოვრებას! **(მქუხარე ტაში)**.

გაუმარჯოს პროლეტარებს, კოლმეურნეებს, ქართველ მშრომელ ინტელიგენციას! გაუმარჯოს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას! **(მქუხარე ტაში)**.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს! (ხანგრძლივი მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან, ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს, გაისმის ძახილი: „ვაშა“ „მოძმე უკრაინას!“)**.

მისალმებანი ორდენოსან საქართველოს

ამხ. ა. ა. ჟდანოვისაგან

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—ამხ. ლ. ბერიას.
საქართველოს სსრ ცაკს—ამხ. ფ. მახარაძეს.
საქ. სსრ სახკომსაბჭოს—ამხ. გ. მგალობლიშვილს.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტები მხურვალედ მიესალმებიან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ყველა მშრომელს და მათ ბოლშევიკურ ორგანიზაციას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავზე.

15 წლის წინათ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ლენინ-სტალინის სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, რუსეთის პროლეტარიატის დახმარებით დაამხეს მენშევიკური მთავრობა, რომელმაც მიჰყიდა თავი საერთაშორისო ბურჟუაზიას და რომელიც ცდილობდა გადაექცია საქართველო და მთელი ამიერ-კავკასია საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალისტთა კოლონიად.

ამ სახელოვანი 15 წლის მანძილზე საქართველოს მშრომელმა მასებმა ბრძოლის დიდი გზა განვლეს და უდიდეს გამარჯვებებს მიაღწიეს სოციალისტურ მშენებლობაში. აზერბეიჯანის და სომხეთის ხალხებთან ხელიხელჩაკიდებულმა საქართველოს მშრომელებმა ააგეს ამიერ-კავკასიის ფედერაციის დიადი შენობა—სოციალიზმის შეურყეველი ციხესიმაგრე, შექმნეს ნიმუში ნაციონალური მშვიდობიანობისა, რომელიც უმაგალითოა ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელია ბურჟუაზიულ წყობილებაში. მრავალი საუკუნის ნაციონალური, შუღლის ნაცვლად, რომელსაც მეფის მოხელეები და მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები აღვივებდნენ, საქართველოში, საბჭოთა ამიერ-კავკასიის მთელს ტერიტორიაზე მტკიცედ და საბოლოოდ დამყარდა იმ ხალხთა დიდი და ურყევი მეგობრობა, რომლებიც საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხებთან ერთად ეწევიან საერთო მსოფლიო ისტორიულ საქმეს—უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებას.

ლენინურ-სტალინურმა ბრძნულმა ნაციონალურმა პოლიტიკამ გამოიღო თავისი შესანიშნავი ნაყოფი: ამ ნაყოფს მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად წლითი-წლობით სულ უფრო-დაუფრო მეტს იმკის ქართველი ხალხი, რომელმაც მისცა მსოფლიოს ჩვენი ეპოქის უგენიალურესი ადამიანი, მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი ბელადი ამხანაგი სტალინი. უდიდესი სისწრაფით განხორციელდა საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიალიზაცია. ქართველი გლეხი საბოლოოდ დადგა კოლექტივიზაციის დროშის ქვეშ, სოციალიზმის წითელი დროშის ქვეშ. მძლავრად გაიფურჩქნა ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურა და ხელოვნება ქართველი ხალხისა, რომლის წიაღიდან ნიჭის დაუშრეტელმა წყარომ ამოხეთქა. ლენინისა და სტალინის მიერ გამობრძმედილ და აღზრდილ ბოლშევიკურ პარტიას მტკიცე ნაბიჯით მიჰყავს სსრ კავშირის მშრომელნი წინ მდიდარი, სიხარულით აღსავსე ცხოვრებისაკენ, ყველა მშრომელის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისაკენ! კომუნიზმისაკენ.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთ!

გაუმარჯოს მათ ღირსეულ ბოლშევიკურ ხელმძღვანელთ ლავრენტი ბერიას მეთაურობით!

გაუმარჯოს ყველა ხალხის დიდ ბელადს, ჩვენს ძვირფას, ჩვენს საყვარელ სტალინს!

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო და საოლქო კომიტეტების მდივანი.
ჟდანოვი.

საკ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტისაგან

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—ამხ. ლ. ბერიას.
საქართველოს სსრ ცაკს—ამხ. ფ. მახარაძეს.
საქ. სსრ სახკომსაბჭოს—ამხ. გ. მგალობლიშვილს.
საქართველოს კომკავშირის ცენ. კომიტეტს — ამხ. მგელაძეს!

ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საბჭოთა საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებსა და მთელ მშრომელ ახალგაზრდობას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავის გამო.

თხუთმეტი წლის წინათ საქართველოს მშრომელებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, გაწმინდეს თავისი სამშობლო მიწაწყალი კონტრრევოლუციური უწმინდურობისაგან, მენშევიკებისაგან და საქართველოს ბურჟუაზიის მფარველობით მოთარეშე ინტერვენტებისაგან.

საქართველოს მშრომელებმა თავის საუკეთესო შვილთა სისხლით მოიპოვეს სოციალიზმის მშენებლობის ბედნიერი და საამური ცხოვრების უფლება.

საბჭოთა კავშირის ხალხთა დიად თანამეგობრობაში საქართველოს საპატიო ადგილი უჭირავს, წარმატებით ავითარებს რა თავის მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და კულტურას.

საკ. ალკკ ცენ. კომიტეტი დარწმუნებულია, რომ საქართველოს კომკავშირელი ქალები, კომკავშირელები და მთელი მშრომელი ახალგაზრდობა მომავალშიც ერთგულნი იქნებიან საქართველოს რევოლუციური პროლეტარიატისა და გლეხობის სახელოვანი ტრადიციების, ენერგიულად იმუშავებენ ჩვენი დიადი სამშობლოს გაძლიერებისა და დაცვისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკებს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების საკავშირო კომუნისტურ პარტიას და ხალხთა ბელადს — ამხ. სტალინს!

საკ. ა.ლ.კ.კ. ცენ. კომიტეტი.

თურქმენიისაგან

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ს ამხ. ლ. ბერიას!
საქართველოს სსრ ცაკს — ამხ. ფ. მახარაძეს!
საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს — ამხ. გ. მგალობლიშვილს!

თურქმენი ხალხის სახელით მხურვალედ მივესალმებით ქართველ ხალხს მისი განთავისუფლების თხუთმეტი წლისთავზე.

ქართველ ხალხს, რომელმაც ყველა ქვეყნის პროლეტარებს, მთელი მსოფლიოს ხალხებს მისცა ბრძენი, ულევად საყვარელი ბელადი სტალინი, უფლება აქვს იამაყოს თავისი [illegible] ისტორიული გამარჯვებებით სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

ხალხთა მეგობრობა — ყველაზე ძვირფასი, რაც ბოლშევიკურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ მოგვცა — არის თვალუწვდენელი ჩვენი სამშობლოს ურღვევლობის საწინდარი, სამშობლოსი, რომელიც ჩვენი სტალინის ხელმძღვანელობით [illegible] გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენს ბრძენ მამას, მასწავლებელსა და ბელადს ამხ. სტალინს!

თურქმენიის კ. პ. (ბ) ც.კ.-ის მდივანი — **პოპოკი.**
თურქმენიის სსრ-ის ცაკის თავმჯდომარე: **აითაკოვი.**

ამხ. ეგოროვისაგან

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—ამხ. ლ. ბერიას.
საქართველოს სსრ ცაკს—ამხ. ფ. მახარაძეს.
საქ. სსრ სახკომსაბჭოს—ამხ. გ. მგალობლიშვილს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თხუთმეტი წლისთავის ზეიმის დღეს სულით და გულით მივესალმები საქართველოს სახელოვანი რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ქართველი ნაწილების მეომრებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, ბოლშევიკ ხელმძღვანელებს.

ჯერ კიდევ არალეგალობის წლებში საქართველოს პროლეტარებმა ჩვენი დიდი ბელადის **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით გაიარეს რევოლუციური სკოლა და დიდი ბოლშევიკური გამობრძმედა მიიღეს. სამოქალაქო ომის წლებში საქართველოს რევოლუციურმა მუშებმა და გლეხებმა **ლენინ-სტალინის** ბოლშევიკური დროშით გაანადგურეს კონტრრევოლუციის სათავეში მდგომი მენშევიკები, რომლებიც ინტერვენტთა დახმარებას ეყრდნობოდნენ. თავისი არსებობის თხუთმეტი წლის მანძილზე საქართველო მეფის რუსეთის დაჩაგრული კოლონიიდან გადაიქცა მზარდ, მდიდარ სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელიც სულ ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის თვითეულ ფრონტზე.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის ქართული ნაციონალური ნაწილები, რომლებიც პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართა სადარაჯოზე დგანან, არიან წითელი არმიის დისციპლინირებული ნაწილები, ლენინ-სტალინის დიადი საქმის ერთგულნი. თხუთმეტი წლის თავზე ვუსურვებ საბჭოთა საქართველოს ახალ წარმატებებს, შემდგომ აყვავებას სოციალისტური მშენებლობის, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ყველა ფრონტზე.

გაუმარჯოს ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ქართული ნაციონალური ნაწილების მეომრებს, მეთაურებს და პოლიტმუშაკებს!

გაუმარჯოს წითელი არმიის ბელადს, თავდაცვის სახალხო კომისარს საბჭოთა კავშირის მარშალს—ვოროშილოვს.

გაუმარჯოს ყველა მშრომელის ბელადს — დიდ სტალინს.

გენერალური შტაბის უფროსი, საბჭოთა კავშირის მარშალი — **ეგოროვი.**

უზბეკისტანისაგან

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—ამხ. ლ. ბერიას.
საქართველოს სსრ ცაკს—ამხ. ფ. მახარაძეს.
საქ. სსრ სახკომსაბჭოს—ამხ. გ. მგალობლიშვილს.

მხურვალედ ვულოცავთ საქართველოს ბოლშევიკთა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოების ცაკის და სახკომსაბჭოს სახით — საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებს და მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების სახელოვან 15 წლისთავს. ვამაყობთ სოციალისტური მშენებლობის იმ წარმატებებით, რომლებსაც თქვენმა რესპუბლიკამ მიაღწია ლენინურ სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორი განხორციელებით საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დახმარებით, საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ბოლშევიკ-ლენინელთა სახელოვანი რაზმის, აღმზრდელის — ჩვენი საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით. კიდევ უფრო მეტს წარმატებებს ვუსურვებთ თქვენს რესპუბლიკას სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

თქვენი რესპუბლიკის საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად უზბეკისტანის კ.პ.(ბ) ც.კ-საგან და სახკომსაბჭოსაგან გამოემგზავრა დელეგაცია უზბეკისტანის ცაკის თავმჯდომარის ამხ. ახუნდ ბაბაევის მეთაურობით.

უზბეკისტანის კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი — **იქრამოვი.**
უზბეკისტანის სსრ-ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე: — **ფაიზულა ხოჯაევი.**

* * *



ამხ. სტალინი ბათუმში

ნახ. ნადარეიშვილ.

ამნისტია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თხუთმეტი წლისთავის აღსანიშნავად

დადგენილება

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

I

1. სამ წლამდე — თანჩათვლით თავისუფლების აღკვეთამისჯილი პირნი, აგრეთვე ყოფილი წითელპარტიზანები და წითელგვარდიელები, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე — თანჩათვლით, და მცირეწლოვანი ბავშვების მქონე და ორსული ქალები, რა ვადითაც უნდა ჰქონდეთ მათ თავისუფლების აღკვეთა მისჯილი, — განთავისუფლებულ იქნენ პატიმრობისაგან და სასჯელის დამატებითი ღონისძიებისაგან [illegible]

[illegible]

II

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1936 წ. თებერვლის 17-ის დადგენილების შესაბამისად:

[illegible]

III

[illegible]

IV

[illegible]

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — თ. ჟღენტი.

1936 წ. თებერვლის 24.
ტფილისი.

◇ ◇ ◇ ◇ ◇

ყოფილი მოჯამაგირე ბელადთან

ამხ. კ. პ. ლაღაზიძე.

ეს იყო 1923 წლის ზაფხულს. ზემოალვანის (თელავის რაიონი) კულაკ ჰყუპიშვილის ცხვრის ფარები მთათუშეთის საძოვრებით მდიდარ იაილაზე იდგა და იმ დროს ბობოლა გლეხის, გულქვა და შეუბრალებელი ჰყუპიშვილის გულს ახარებდა. მისი ცხვრის რაოდენობა მაშინ 6.000 სულზე მეტს აღწევდა, ფარებს 30 მოჯამაგირე მწყემსი უვლიდა.

— მოჯამაგირე და ადამიანი?!— იტყოდა ხოლმე ჰყუპიშვილი,—მოჯამაგირე იმისათვის მინდა, რომ რასაც ვუბრძანებ ის გააკეთოს და ლუკმა-პურს ძაღლსავით რომ გადავუგდებ, ძაღლივით ჩემი ერთგული უნდა იყოს.

— რაო, რას მიწყრები?—იტყოდა ხოლმე ჰყუპიშვილი ლაღაზიძეს,—ქალამნები არა გაქვს? აჰა, [illegible] მავთული, ჩაიცვი და მალე აღარ გეგიცვდება—ამ სიტყვაზე გადაუგდებდა კოტეს საქალამნე ტყავის ოდენა თუნუქს და თან გადაფურთხებით დაუმატებდა—[illegible], ხუ მირევ მოჯამაგირეებს, თორემ სამუდამოდ მოგკლავ!

— შენ რაღაო?—იტყოდა ხოლმე ბორძიკიძეს, არ მოგწონს ჭატო? შენ რა, ჩემს ბოთვერაზე და დანდალაზე (ძაღლების სახელებია) უკეთესი ხარ თუ? მათიმრ უნდა შეეჩვიო სალაფავის ჭამას, ისე მე თქვენისთანა მაწანწალებს ვერ შევინახავ, გამტკიცულ პურს ვერ გაჭმევთ...

დიდხანს გრძელდებოდა მოჯამაგირეებში ბოღმა და ჯავრი და აი, იაილაზე, სადაც კოტე ლაღაზიძე ბატკნებს მწყემსავდა, მიაწყდა თავი ყველაფერს და ჩამოქანდა ზინაში სარქალთან.

— ბათო! მეტი აღარ შემიძლიან. ან ჩვენ, ან ჰყუპიშვილი. ის მოჯამაგირეთა კომიტეტსაც აღარ სცნობს თუნუქის ქალამნებით გვატარებს, ძაღლებივით სალაფავს გვაძლევს, პირუტყვზე უარესად გვეპყრობა. გუშინღამ პაპოშვილს მათრახით სცემა, გააძრო ნაბდის თექის ნაგლეჯი და მთელი ღამე კოკისპირულ წვიმაში ამყოფა. მერე როდემდის ვითმინოთ ასეთი ცხოვრება?

— მერე და რა გაგიზრახავს, აღარ იტყვი?—მიაჩერდა სარქალი კოტეს.

— ბევრი არაფერი, მოჯამაგირეები წავიდეთ სამართლის საძებნელად, ჰყუპიშვილს კი არ ვაჯიჯღნინებთ ჩვენს სიცოცხლეს, ჩვენს ხორცს...

○

— ეს რა მთაირობა მოგვივიდა,—იტყოდა ხოლმე ჰყუპიშვილი,—მოჯამაგირეები თავზე წამოგვასხეს, ათასგვარი პირობები წამოგვიყენეს, პირში ბურთი ჩაგვჩარეს, სიმდიდრეზე ხელს გვილებინებენ—სხვისი მონაგარიაო... ეჰ, რა კარგები იყვნენ მენშევიკები, ასეთ [illegible] ბიჭებს მაინც არ გაალაღებდნენ ჩვენს თავს, მათ მათრახებით გაუმასპინძლდებოდნენ... ლაღაზიძე მტრობს, ეგ ველის წოწილა, მაგან არია ჩემი მოჯამაგირეები...

○

გავიდა წლები... დაიწყო ჩვენში საკოლმეურნეო მშენებლობა, მშრომელი გლეხობისათვის ბედნიერი ცხოვრების ურყევი საფუძვლის შექმნა. თუშეთის სოფლებში, პირველ რიგში მოჯამაგირე მწყემსებს შორის დაიბადა აზრი—საერთო ამხანაგობის—კოლექტივის მოწყობისა და ამ აზრს გაჰყვნენ მთელი სოფლის მშრომელთა ასეულები.

1930 წელს ამხ. კოტე ლაღაზიძის ხელმძღვანელობით ზემოალვანში ჩამოყალიბდა სახელმწიფო პოლიტსამმართველოს სახელობის კოლმეურნეობა. კოლმეურნეობაში პირველად 23 ყოფილი მოჯამაგირე და რამდენიმე სხვა გლეხი გაერთიანდა. მათ ჰყავდათ სულ 1050 ცხვარი, 7 ცხენი, 2 სახედარი, 4 უღელი საქონელი და ჰქონდათ 15 ჰექტარი სახნავი მიწა. გაჩაღდა მუშაობა. ზემოალვნის კულაკები—ჰყუპიშვილი და სხვები დასცინოდნენ ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობას.

— ეგ თქვენი ფარა რომელ მთაში უნდა გარეკოთ?

— არ გინდათ მწყემსად გამოგყვეთ? თქვენ ხომ ვერ მოუვლით მაგდენს საქონელს!

— ყველის გუდები და მატყლი რომელ სარდაფებში უნდა მოათავსოთ? სიცხეში გაგიფუჭდებათ. [illegible] ვერან, გათხოვებთ ჩემს სახლებს..

კოლმეურნეების თავდადებულმა და პატიოსანმა შრომამ თავისი გაიტანა. კოლმეურნეობას ყოველწლიურად შეემატა მრავალი [illegible] წევრი, გაიზარდა საკოლმეურნეო მოსავლის ბარაქიანობა.

დღეს კოლმეურნეობას ჰყავს 11.048 ცხვარი და ბატკანი, 175 ცხენი და 155 სული პროდუქტიული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. 1935 წლის განმავლობაში 4009 დედაცხვრისაგან გამოიზარდა 4.232 ბატკანი, გაპარსეს 7.548 ცხვარი და საშუალოდ თითო ცხვრისაგან მიიღეს 3,27 კილოგრამი მატყლი.

კოლმეურნეობამ დიდი და სერიოზული მუშაობა ჩაატარა 1933 წლიდან, რათა გაეუმჯობესებინათ თუშური ცხვრის ჯიში მატყლისა და წონის მხრივ. ამის შედეგად, თუ თუშური დედაცხვარის საშუალო წონა ჩვეულებრივ 40-45 კილოგრამს უდრიდა, ახლა სანაშენე ფარაში ცხვრის საშუალო წონა 50-55 კილოგრამამდე გაიზარდა. თუ თუშური ჯიშის ყოჩის საშუალო წონა უდრიდა 50-55 კილოგრამს, ახლა 78-80 კილოგრამამდე ავიდა.

ამ წარმატებებმა კოლმეურნეობა განამტკიცა სამუდამოდ და საიმედოდ. ყოფილი მოჯამაგირეები, რომელთაც არავითარი ქონება არ გააჩნდათ, ახლა შეძლებულად გადაიქცნენ.

კოტე ლაღაზიძემ (ყოფ. მოჯამაგირე, ამჟამად კოლმეურნეობის თავმჯდომარე) გასულ წელს გამოიმუშავა 406 შრომადღე, მიიღო 237 კილოგრამი ყველი, 422 კილოგრამი ხორცი, 68 კილოგრამი მატყლი, 500 კილოგრამი პური, 609 მანეთი ფულად. პირად სარგებლობაში ჰყავს ორი ძროხა, 25 ცხვარი და თხა. ერთი საჯდომი ცხენი. ამხ. კოტე ლაღაზიძე ოჯახშიაც კულტურულად და კარგად ცხოვრობს. აქვს სამი ოთახი კარგი ბინა, ნიკელირებული რკინის საწოლები, პატეფონი. ის ოჯახში მშვენივრად არის მოწყობილი. ჰყავს ერთი ქალიშვილი, რომელიც [illegible]

[illegible] ყოფილი მოჯამაგირეები [illegible] კოლმეურნეები: ანდრო ბორძიკიძე, ადამო აფშინაშვილი, იოსებ ბასილაშვილი, გაბო ბორძიკიძე და სხვ.

სწორედ იმიტომ, რომ ამ კოლმეურნეობამ სასახელოდ შეასრულა მეცხოველეობის განვითარების 1935 წლის გეგმა და ამ დარგში მიაღწია საუკეთესო მაჩვენებლებს, მისმა ხელმძღვანელებმა ამხ. კოტე ლაღაზიძემ და ანდრო ბორძიკიძემ მოიპოვეს იმის უფლება, რომ თავიანთ წარმატებათა შესახებ ელაპარაკნათ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან, პირადად ამხანაგ სტალინთან მეცხოველეობის მოწინავეთა თათბირზე მოსკოვში.

ამხ. ლაღაზიძემ, თავის სიტყვაში ამ თათბირზე, ამხ. სტალინს პირობა მისცა, რომ ის 1936 წელს ერთი ცხვრისაგან მიიღებს სამნახევარ კილოგრამ მატყლს და ყოველ 100 დედაცხვარზე გამოზრდის 107 ბატკანს.

საბჭოთა კავშირის მარშალის, წითელი არმიის სახელოვანი ბელადის ამხ. ვოროშილოვისადმი მიცემულ პირობაში ამხ. ლაღაზიძემ ვალდებულებად იკისრა კოლმეურნეობამ გაზარდოს თუშური ცხენები, რომელთაც შეუძლიათ ავიდნენ და ჩამოვიდნენ უძლიერესად ციცაბო ფერდობებზე და ასეთი ცხენების რაოდენობა კოლმეურნეობაში დაიყვანოს 500-მდე.

და, აი ამიტომაც, დღეს ამ კოლმეურნეობის სახელოვანი ადამიანები—ლაღაზიძე და ბორძიკიძე დაჯილდოვებული არიან საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოთი—ლენინის ორდენით.

არ. კოკილაშვილი.

◇ ◇ ◇

პანე დემსკი, სადა ხარ ახლა?

მაშინ აქ იყავი პანე დემსკი. ხუთოთახიან ბინაში, რომელიც მილიონერმა მეფაბრიკემ—შელიქ აზარიანცმა საგულდაგულოდ შენთვის ააგო, [illegible]. შენ მოგაბარეს ახალი ქარხანა და მისი მუშები, რომელთაც მაჯლაჯუნასავით აწექი კისერზე. ქარხანაში შენი ეშინოდა ყველას, მოხუცსა და ახალგაზრდას, ქართველს, სომეხს, რუსს—ყველა მუშას. ერთადერთი კაცი იყო—ქარხნის მეპატრონე, რომლის წინაშეც იხრიდი ქედს და [illegible] მისთვის გესიამოვნებინა, მისი მადლობა დაგემსახურებინა. ფინიასავით ელაქუცებოდი მას და მგელივით დაუნდობელი იყავი ჩვენთან.

გვახსოვხარ კარგად—მუდამ სერთუკში გამოწყობილი, ზორბა ტანიდ, [illegible] ულვაშებით. [illegible], როცა საამქროში შემოხვიდოდი, სამარისებური სიჩუმე გამეფდებოდა. ვინ გაბედავდა დალაპარაკებას, შენი რისხვა მას ხომ უეჭველად დაატყდებოდა თავს? მოითხოვდი ჩვენგან პირუტყვულ მორჩილებას და ძალით გაგქონდა [illegible].

მეფობდი [illegible] და ძალმომრეობდი შენ მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდი, რადგან შენს მხარეზე იყო—მილიონერი მეფაბრიკე, ჟანდარმთა სამმართველო, საიდუმლო პოლიცია, პრისტავი და „[illegible]".

ანტონ სიგიზმუნდის-ძევ, გახსოვს [illegible], რომ მოგიწოდა ჩვენმა მეფაბრიკემ, ოქრო ჩაგიჩხრიალა ხელში და მოგანდო ჩვენი სპილენძის სატყუარი ქარხნის ხელმძღვანელობა. მაშინ იწყებდა მუშაობას ეს ქარხანა. 1905 წლის 23 იანვარი იყო ძველი სტილით, როცა ამ ქარხნის პირველმა ღუმელმა სპილენძის ნაცხობის პირველი ნიმუში გაახარა [illegible]

[illegible]

დ. ლომთაძე

◇ ◇ ◇ ◇ ◇

ახალი ათონის სანატორიუმი „აფხაზეთი"

◇ ◇ ◇ ◇ ◇

შალვა სოსლანი

ბეგი ბერიძე

(ნაწყვეტი).

[illegible]